619
1980

ISSN 0130 1624

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დროშა

ივლისი
№ 7 1980 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

208

წალენჯიხის რაიონის პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე მეჩაიე იზოლდა კვარაცხელია.

სერგო ედიშერაშვილის ფოტო.

წალენჯიხის რაიონის პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობის ჩაის პლანტაციაში.

6/9 1980
ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

1980 ᲬᲚᲘᲡ 23 ᲘᲕᲜᲘᲡᲡ გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

პლენუმმა მოისმინა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘᲡ მოხსენება და გადაწყვიტა სკკპ მორიგი XXVI ყრილობის მოწვევის საკითხი.

პლენუმის დადგენილება ამ საკითხზე დღეს ქვეყნდება პრესაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მოისმინა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ამხ. ა. ა. ᲒᲠᲝᲛᲘᲙᲝᲡ მოხსენება „საერთაშორისო მდგომარეობისა და საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის შესახებ“.

ამხანაგების ლ. ი. ბრეჟნევისა და ა. ა. გრომიკოს მოხსენებათა გამო გამართულ კამათში გამოვიდნენ ამხანაგები ᲐᲐ. ᲗᲘ. ᲕᲐᲢᲩᲔᲜᲙᲝ — უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, ᲔᲐ. ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲔ — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ᲕᲐ. Ნ. ᲛᲐᲙᲔᲔᲕᲘ — სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი, ᲘᲐ. ᲗᲘ. ᲡᲝᲚᲝᲕᲘᲝᲕᲘ — სკკპ ლენინგრადის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, ᲐᲐ. ᲑᲐ. ᲩᲐᲙᲝᲕᲡᲙᲘ — „ლიტერატურნაია გაზეტას“ მთავარი რედაქტორი, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი, ᲒᲐ. ᲘᲐ. ᲒᲝᲠᲑᲐᲜᲘ — ᲣᲓᲐᲜᲝᲕᲘᲡ Ს. ორჯონიკიძის სახელობის მეტალურგიული ქარხანა „აზოვფოლადის“ მეფოლადე, დონეცკის ოლქი, ᲞᲐ. ᲒᲐ. ᲕᲐᲘᲜᲝ — ესტონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ᲘᲐ. ᲘᲐ. ᲒᲝᲓᲘᲣᲚᲘ — მოლდავეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ამხ. ა. ა. გრომიკოს მოხსენების გამო მიიღო შესაბამისი დადგენილება, რომელიც ასევე ქვეყნდება პრესაში.

ამით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მუშაობა დაამთავრა.

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ 1980 ᲬᲚᲘᲡ 23 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ

ᲡᲙᲙᲞ ᲛᲝᲠᲘᲒᲘ XXVI ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲕᲔᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

1. მოწვეულ იქნეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მორიგი, XXVI ყრილობა 1981 წლის 23 თებერვალს.

2. დამტკიცდეს ყრილობის შემდეგი დღის წესრიგი:

1) სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში და პარტიის მორიგი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში — მომხსენებელი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხ. ლ. ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘ.

2) სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის ანგარიში — მომხსენებელი სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ამხ. გ. თ. სიზოვი.

3) სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლების ძირითადი მიმართულებანი — მომხსენებელი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ა. ნ. კოსიგინი.

4) პარტიის ცენტრალური ორგანოების არჩევნები.

3. დამტკიცდეს სკკპ XXVI ყრილობაზე წარმომადგენლობის ნორმა: ერთი დელეგატი 3350 პარტიის წევრისაგან.

4. სკკპ XXVI ყრილობაზე წარსაგზავნ დელეგატებს · პარტიის წესდების თანახმად დახურული (ფარული) კენჭისყრით ირჩევენ საოლქო, სამხარეო პარტიულ კონფერენციებსა და მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ყრილობებზე. სკკპ XXVI ყრილობაზე უკრაინის, ბელორუსიის, უზბეკეთისა და ყაზახეთის კომპარტიებისაგან წარსაგზავნ დელეგატებს ირჩევენ საოლქო **პარტიულ** კონფერენციებზე.

საბჭოთა არმიის, სამხედრო-საზღვაო ფლოტის, შინაგანი და სასაზღვრო ჯარების პარტიულ ორგანიზაციებში შემავალი კომუნისტები სკკპ XXVI ყრილობაზე წარსაგზავნ დელეგატებს ირჩევენ შესაბამის ტერიტორიულ პარტიულ ორგანიზაციებთან ერთად საოლქო, სამხარეო პარტკონფერენციებზე ან მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ყრილობებზე.

საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის საზღვარგარეთ მყოფი ნაწილების პარტიულ ორგანიზაციებში შემავალი კომუნისტები სკკპ XXVI ყრილობაზე წარსაგზავნ დელეგატებს ირჩევენ შესაბამისი საჯარისო შენაერთების პარტიულ კონფერენციებზე.

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲓᲘᲕᲜᲘᲡ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒ Ლ. Ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘᲡ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ

ამხანაგებო!

გაისად დადგება პარტიის წესდებით განსაზღვრული მორიგი ყრილობის გამართვის ვადა. ამის გამო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წინადადება შემოაქვს მოწვეულ იქნეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ოცდამეექვსე ყრილობა 1981 წლის 23 თებერვალს.

ყოველი ყრილობა ახალ ჰორიზონტებს უსახავდა ჩვენს პარტიასა და მთავრობას. მჯერა, ასეთი იქნება მომავალი ყრილობაც, რომელმაც უნდა განსაზღვროს კომუნისტური მშენებლობის დამდეგ ეტაპზე ბრძოლის სტრატეგია და ტაქტიკა.

ქვეყნის განვითარებასთან ერთად იზრდება საშინაო პოლიტიკის ამოცანების სირთულე და მასშტაბი. დიდ ჯაფად გვიღირს საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღების გზით გადადგმული ყოველი ნაბიჯი. აგრესიული იმპერიალისტური წრეები ცდილობენ ვნება მიაყენონ საბჭოთა კავშირს, მთლიანად სოციალიზმის პოზიციებს. ისინი ლამის საბჭოთა კავშირის გარიყვას ესწრაფვიან. მაგრამ ამ მიმართულებით მოქმედება თავიდანვე უშედეგო გამოდგა.

ეს გადამწყვეტწილად იმასთან არის დაკავშირებული, რომ განუზომლად გაიზარდა საბჭოეთის ეკონომიკური პოტენციალი და თავდაცვითი ძლიერება, კიდევ უფრო განმტკიცდა ჩვენი საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური და იდეური ერთიანობა (**ტაში**). უდიდესი როლი შეასრულა იმანაც, რომ ჩვენ სიდინჯე და თანამიმდევრულობა გამოვიჩინეთ და არავის დავანებეთ ავეცდინეთ კურსიდან, რომელიც სკკპ XXIV და XXV ყრილობებმა განსაზღვრეს.

ჩვენი კურსი ჩამოყალიბდა, მისი სისწორე პრაქტიკით არის დადასტურებული. მან სასიკეთო შედეგი მოგვიტანა როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის

ᲐᲐ. ᲛᲐᲠᲥᲡᲘᲡ ᲡᲐᲮ. ᲡᲐᲯ. ᲡᲡᲡᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

დარგში. ამასთანავე ცხოვრება ახალ-ახალ ამოცანებს გვისახავს, რომელთა გადაწყვეტის **გზებიც უნდა** განვსაზღვროთ ყრილობაზე.

დამკვიდრებული ტრადიციისამებრ, გთავაზობთ ყრილობის შემდეგ დღის წესრიგს:

1. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში და პარტიის მორიგი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო რეკომენდაციას იძლევა მომხსენებლად დამტკიცდეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ბრეჟნევი **(ხანგრძლივი ტაში).**

2. სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის ანგარიში. მომხსენებელი — სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე გ. თ. სიზოვი.

3. სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლების ძირითადი მიმართულებანი. მომხსენებელი — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი.

4. პარტიის ცენტრალური ორგანოების არჩევნები.

რაც შეეხება წარმომადგენლობის ნორმებს, არის წინადადება, რომ XXVI ყრილობაზე წარსაგზავნად დასახელებულ იქნეს თითო დელეგატი სამი ათას სამას ორმოცდაათი პარტიის წევრისაგან. ამრიგად, ყოველი დელეგატი უწარმომადგენლებს რამდენადმე უფრო მრავალრიცხოვან კომუნისტთა რაზმს, ვიდრე XXV ყრილობაზე. ეს იმასთან არის დაკავშირებული, რომ გაიზარდა ჩვენი პარტიის რიცხვი. 1 აპრილისათვის პარტიაში 17 მილიონ 193 ათას 376 კაცი იყო.

წესდების შესაბამისად, XXVI ყრილობაზე წარსაგზავნ დელეგატებს ფარული კენჭისყრით აირჩევენ საოლქო და სამხარეო პარტიულ კონფერენციებზე და მოკავშირე რესპუბლიკების კომუნისტურ პარტიათა ყრილობებზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მიზანშეწონილად მიაჩნია უკრაინის, ბელორუსიის, უზბეკეთისა და ყაზახეთის კომუნისტური პარტიებისაგან, ანუ მრავალრიცხოვან კომუნისტთა ორგანიზაციებისაგან, წარსაგზავნი დელეგატები არჩეულ იქნენ საოლქო პარტიულ კონფერენციებზე.

ისე კი, ყრილობის დელეგატთა არჩევის დამკვიდრებულ წესს შესაცვლელი არაფერი აქვს.

ახლა ანგარიშგება-არჩევნების კამპანიის ვადებზე მოგახსენებთ. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ:

— პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებები მოეწყოს მიმდინარე წლის სექტემბერ-ნოემბერში;

— რაიონული, საქალაქო, საოკრუგო პარტიული კონფერენციები მოეწყოს ამავე წლის ნოემბერ-დეკემბერში;

— საოლქო და სამხარეო პარტიული კონფერენციები — 1980 წლის დეკემბერ-1981 წლის იანვარში;

— მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ყრილობები — 1981 წლის იანვარში — თებერვლის დამდეგს.

ყრილობისწინა ანგარიშგება-არჩევნების კამპანია განსაკუთრებული ხანაა პარტიის ცხოვრებაში, უაღრესად პასუხსაგები ხანა.

განვლილი წლების მანძილზე ჩვენ კომუნისტური მშენებლობის დიდმნიშვნელოვანი გამოცდილება შევიძინეთ. მზრუნველად უნდა გამოვიყენოთ ყოველივე ის დადებითი, რაც კი რამ გვაქვს ჩვენს მუშაობაში — ქალაქად თუ სოფლად.

ამასთანავე კრიტიკულად უნდა მოვეკიდოთ ხარვეზებსა და ნაკლოვანებებს, რომლებიც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ გვაქვს მეურნეობრიობის და, კაცმა რომ თქვას, პარტიული მუშაობის პრაქტიკაში. ჩვენ ეს გვითქვამს ცენტრალური კომიტეტის პლენუმებზე, მაგრამ ანგარიშგება-არჩევნების კამპანია გვავალებს კიდევ და კიდევ ყოველმხრივ გავაანალიზოთ მუშაობა, რომელსაც პარტიული ორგანიზაციები ეწევიან პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად. ახალი ყრილობის სამზადისი როგორც კომუნისტთა, ისე უპარტიოთა პოლიტიკური და შრომითი აქტიურობის აღმავლობის მძლავრი ბერკეტი გახლავთ.

ვგონებ, პარტიულ კრებებსა და კონფერენციებზე ჯეროვანი ყურადღება დაეთმობა პარტიული მუშაობის ყველა მხარეს — პოლიტიკურს, ორგანიზაციულს, იდეოლოგიურს.

საჭიროა — და ეს ხაზგასმით უნდა აღინიშნოს — ენერგიის მაქსიმუმი მოვახმაროთ იმ საქმეს, რომ წარმატებით, მთლიანად და გადაჭარბებით შევასრულოთ მეათე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის გეგმა, დროულად ავამოქმედოთ ასამუშავებელი ობიექტები, უზრუნველვყოთ სახალხო მეურნეობის სტაბილური მუშაობა 1981 წელს — მეთერთმეტე ხუთწლედის პირველ წელს. აქ, რა თქმა უნდა, თავისი როლი უნდა შეასრულოს ყრილობის აღსანიშნავმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ.

ცენტრალური კომიტეტის ბარათებში, რომლებსაც პლენუმის მონაწილენი იცნობენ, არაერთგზის შევხებივარ ჩვენი ეკონომიკის განვითარების ზოგიერთ საკვანძო საკითხს. კერძოდ, ყურადღებას მივაპყრობდი სათბობ-ენერგეტიკულ და სატრანსპორტო პრობლემებს, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენებას, მოწყობილობის იმპორტს. ვიცი, რომ ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი მუშაობა წარმოებს. მაგრამ გასაკეთებელი კიდევ უფრო მეტი გვაქვს.

ჩვენ დავისახეთ ისეთი კაპიტალური ამოცანა, როგორიც წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებაა. და ეს ამოცანა ნიადაგ უნდა გვქონდეს ყურადღების ცენტრში. კვლავაც უნდა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ კიდევ უფრო დავაჩქაროთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, განვამტკიცოთ შრომისა და სახელმწიფო დისციპლინა, უზრუნველვყოთ შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდა.

უეჭველია, რომ ანგარიშგება-არჩევნების კამპანიის დროს პარტიის საერთაშორისო საქმიანობაც განიხილება. საბჭოთა ხალხი მთლიანად იწონებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს პრინციპულ მშვიდობისმოყვარულ კურსს, ჩვენი სამშობლოს დაცვისა და უშიშროების უზრუნველყოფის ღონისძიებებს **(ტაში).** ჩვენ კვლავაც ყველაფერს ვიღონებთ, რათა შევინარჩუნოთ დაძაბულობის შენელება, ყოველივე ის სასიკეთო, რაც კი რამ 70-იანმა წლებმა მოგვცა, მივაღწიოთ განიარაღებისაკენ შემობრუნებას, **მხარში** ვედგეთ თავისუფალი და დამოუკიდებელი განვითარებისათვის მებრძოლ ხალხებს, დავიცვათ და დავამკვიდროთ მშვიდობა **(ხანგრძლივი ტაში).**

ამ ამოცანების გადაწყვეტაში [illegible] როდია. იმპერიალიზმს — ამკარად განუზრახავს გამოსცადოს ხალხების ნება და მშვიდობისადმი მისწრაფება, ჩვენი კეთილი ნება, ამხანაგებო, და მტკიცე გადაწყვეტილება — ვიაროთ დაძაბულობის შენელებისა და კეთილმეზობლობის გზით.

ვაშინგტონი ყოველ ცისმარე დღეს ცდილობს ააღორძინოს ცივი ომის სულისკვეთება, გააძლიეროს მილიტარისტული განწყობილება. ამისათვის კი ყოველგვარ, არსებულ თუ არარსებულ საბაბს ეჭიდება.

ამის მაგალითი გახლავთ ავღანეთი. ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები, აგრეთვე ჩინეთი არ ერიდებიან არაფერს, მათ შორის არც შეიარაღებულ აგრესიას, რათა არ დაანებონ ავღანელებს აშენონ ახალი ცხოვრება 1978 წლის აპრილის განმათავისუფლებელი რევოლუციის იდეალების შესაბამისად. ხოლო როცა ჩვენს მეზობელ ავღანეთს მისი მთავრობის თხოვნით დავეხმარეთ მოეგერიებინა აგრესია, უკუეგდო იერიშზე გადმოსული ბანდიტური შენაერთები, უწინარეს ყოვლისა პაკისტანის ტერიტორიიდან რომ მოქმედებენ, ვაშინგტონმა და პეკინმა ერთი ვაი-უშველებელი ატეხეს. რაღას არ აბრალებდნენ საბჭოთა კავშირს: თბილი ზღვებისაკენ გაჭრის მისწრაფებას, სხვისი ნავთობის ხელში ჩაგდების განზრახვას და ა. შ. თავიდათავი კი ის გახლავთ, რომ ჩაეშალათ გეგმა — მოექციათ ავღანეთი იმპერიალისტური პოლიტიკის ორბიტაში და საფრთხე შეექმნათ ჩვენი ქვეყნისათვის სამხრეთიდან.

ავღანეთისადმი დახმარების საბჭოთა აქციაში ანგარების ნასახიც არ არის. ჩვენ სხვა არჩევანი არ გვქონდა: ჯარი უნდა გაგვეგზავნა. და მოვლენებმაც დაადასტურეს, რომ სწორედ ეს იყო ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება **(ხანგრძლივი ტაში).**

ახლა ავღანეთში ცხოვრება თანდათან დგება თავის კალაპოტში. კონტრრევოლუციონერთა დიდი ბანდები განადგურებულია, ინტერვენტებმა სერიოზული დამარცხება იწვნიეს. ასეთ პირობებში ჩვენ გადავწყვიტეთ გამოგვეყვანა ავღანეთიდან ჩვენი ჯარის კონტინგენტის ზოგიერთი ნაწილი. ამას ავღანეთის მთავრობასა და მის მეთაურ ამხანაგ ბაბრაქ ქარმალთან შეთანხმებით ვაკეთებთ. რა თქმა უნდა, ჩვენ კვლავაც დავეხმარებით ავღანეთს, აშენოს ახალი ცხოვრება, შეინარჩუნოს აპრილის რევოლუციის მონაპოვარი **(ტაში).**

ამხანაგებო!

მშვიდობა კაცობრიობის სწორუპოვარი საუნჯეა. ხალხთა შორის მშვიდობისა და თანამშრომლობის დროშა ვ. ი. ლენინმა აღმართა და ამ დროშას ჩვენ მუდამ ვუერთგულებთ **(ხანგრძლივი ტაში).**

დასასრულ, მინდა გამოვთქვა მტკიცე რწმენა, რომ სკკპ XXVI ყრილობის სამხადისი კვლავ ცხადყოფს პარტიის რიგების შეკავშირებას, **პარტიისა და ხალხის** ურყევ ერთიანობას კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში **(მჭუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის 1980 წლის 7 ივლისის დადგენილება

საქართველოს კომუნისტური პარტიის მორიგი XXVI ყრილობის მოწვევის შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ადგენს:

1. მოწვეულ იქნეს საქართველოს კომუნისტური პარტიის მორიგი, XXVI ყრილობა 1981 წლის 22 იანვარს.

2. დამტკიცდეს ყრილობის შემდეგი დღის წესრიგი:

1) საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში. მომხსენებელი — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ე. ა. შევარდნაძე.

2) საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის ანგარიში. მომხსენებელი — საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ამხ. ი. გ. ხაზარაძე.

3) არჩევნები:

ა) საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელი ორგანოებისა — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიისა;

ბ) სკკპ XXVI ყრილობაზე წარსაგზავნი დელეგატებისა.

3. დაწესდეს საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე წარმომადგენლობის ნორმა: ერთი დელეგატი 250 პარტიის წევრისაგან.

4. საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე წარსაგზავნ დელეგატებს პარტიის წესდების თანახმად დახურული (ფარული) კენჭისყრით ირჩევენ რაიონულ, საქალაქო და საოლქო პარტიულ კონფერენციებზე.

საბჭოთა არმიის, სამხედრო-საზღვაო ფლოტის, შინაგანი და სასაზღვრო ჯარების პარტიულ ორგანიზაციებში შემავალი კომუნისტები საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე წარსაგზავნ დელეგატებს შესაბამის ტერიტორიულ-პარტიულ ორგანიზაციებთან ერთად ირჩევენ რაიონულ, საქალაქო და საოლქო-პარტიულ კონფერენციებზე.

თბილისელი მეტროშენებლები

პარტიის XXVI ყრილობას— შთაგონებული შრომა!

ჰენრი კობიძე

საქართველოს დედაქალაქის მშრომელებს შარშან ძვირფასი საჩუქარი გადასცა ლენინის ორდენოსანი თბილგვირაბმშენის სამმართველოს კოლექტივმა — მწყობრში ჩადგა მეტროპოლიტენის 6,2 კილომეტრიანი ხაზი ხუთი კეთილმოწყობილი სადგურით.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ღირსეულად დააფასეს მიწისქვეშა მაგისტრალების თბილისელ მშენებელთა თავდადებული შრომა — ათეულობით გვირაბმშენებელი დაჯილდოვდა ორდენებითა და მედლებით. თბილგვირაბმშენის სამმართველოს უფროსს, სახელმწიფო პრემიის ლაურეატს **ვიქტორ გოცირიძესა** და გვირაბგამყვანთა კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელს **ალექსანდრე დათაშვილს** სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭათ.

ქართველ მეტრომშენებელთა შრომით თავდადებაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ 1979 წელს საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის მათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა მოიპოვეს. თბილგვირაბმშენის სამმართველოს კოლექტივი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა საპატიო დაფაზე შეიტანეს.

მეტრომშენებელთა მრავალათასიანი არმია თითქმის ოცდაათი წელია, რაც თავდადებით ემსახურება საშვილიშვილო საქმეს — თბილისის მეტროპოლიტენისა და სახალხო მეურნეობის სხვადასხვა ობიექტების მშენებლობას.

ალბათ მთელი ტომი დასჭირდება მიწისქვეშა მაგისტრალების მშენებელთა საქმიანობის ასახვას, იმის გახსენებას, თუ როგორ სძლიეს მათ პირველ სიძნელეებს, როგორ იბადებოდა მეტრო თბილისის კლდოვან მიწისქვეშეთში, როგორ შენდებოდა დარიალის საავტომობილო გვირაბები, ყვარლის უნიკალური მიწისქვეშა მარანი, ოთხის ნაცვლად ორ წელიწადში როგორ ჩადგა მწყობრში გორის მეფრინველეობის ფაბრიკის გიგანტური კომპლექსი...

ისიც უნდა გავიხსენოთ — რამდენი სარკინიგზო და სარწყავი გვირაბი გაიყვანეს მეტროშენებლებმა, როგორ დაიწყეს პირველი საავტომობილო გვირაბის გაჭრა კავკასიონის მთავარ ქედში. რა თქმა უნდა, არც პირველი ენთუზიასტები, შრომის ვეტერანები, მომავლის გეგმები უნდა დავივიწყოთ.

მხოლოდ რამდენიმე ეპიზოდზე მოგითხრობთ.

...1976 წლის მიწურული იყო. თბილისის მეორე რიგის მშენებლობა დასასრულს უახლოვდებოდა. უკვე გამოკვეთილი იყო საბურთალოს ოთხი სადგურის პროფილი. უკანასკნელ ზღუდეებს უტევდა საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ამირან ზარქუას ბრიგადა — კიდევ ასიოდე მეტრი და მთლიანად დამთავრდებოდა მატარებლების გადასარბენი გვირაბების გაყვანა. ამ დროს ცნობა მოვიდა: საჭიროა მეხუთე სადგურის აგება.

მაგრამ დრო? მეტროპოლიტენის მეორე რიგის საექსპლოატაციოდ ჩაბარებამდე ორწელიწადნახევარიღა რჩებოდა. თითოეული სადგურის აგებისათვის, მისი ყოველმხრივი სრულყოფისათვის, სულ ცოტა, 4 წელი მაინც არის საჭირო.

მგზავრთა ნაკადის ინტენსიურმა ზრდამ (თბილისის მეტროს ყოველდღიურად საშუალოდ 328 ათასი კაცი გადაჰყავს) მოითხოვა მოქმედი მეტროპოლიტენის პირველი რიგის სადგურის „ვაგზლის მოედნის“ გვერდით მეორე მიწისქვეშა კომპლექსის აგება. წინააღმდეგ შემთხვევაში, „ვაგზლის მოედნის“ დარბაზი ვერ დაიტევდა საბურთალოს, დიდუბისა და სამგორის მხრიდან მომავალ მგზავრებს.

თბილგვირაბმშენის სამმართველოს უფროსის ვიქტორ გოცირიძის კაბინეტში საგანგებო საწარმოო თათბირზე სწრაფად შეიკრიბნენ მეტრომშენე-

(გაგრძელება 3ე-5 გვერდზე).

ესტონეთს— ოქტომბრის რევოლუციის ორდენი

ესტონეთის სს რესპუბლიკის მშრომელთა დიდი დამსახურებისათვის რევოლუციურ მოძრაობაში, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისა და მსოფლიოში პირველი სოციალისტური მრავალეროვანი სახელმწიფოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის განმტკიცებისათვის ბრძოლაში, ჩვენი სამშობლოს მტრებთან ბრძოლებში გამოჩენილი გმირობისა და კომუნისტურ მშენებლობაში წარმატებებისათვის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1980 წლის 3 ივლისის ბრძანებულებით **ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა** დაჯილდოვდა **ოქტომბრის რევოლუციის ორდენით.**

ეროვნული ოლიმპიადის წინ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დავით პერტენავა,

საქართველოს სსრ სპორტ-
კომიტეტის თავმჯდომარე.

19 ივლისს იწყება ზაფხულის XXII ოლიმპიადის ასპარეზობა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრებისადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნავდა, რომ „სსრ კავშირი კვლავინდებურად დაუჭერს მხარს თანამედროვე ოლიმპიურ მოძრაობას. ახლა საბჭოთა ადამიანები 1980 წლის მოსკოვის ოლიმპიადისათვის ემზადებიან და ყველაფერს იღონებენ, რომ მან მაღალ დონეზე ჩაიაროს, მეგობრობისა და მშვიდობის კეთილშობილურ იდეალებს ახალი იმპულსები მიანიჭოს“.

1960 წლიდან ტრადიციად იქცა, რომ ყოველი ოლიმპიადის გახსნის წინ ჩატარდეს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საკითხებისადმი მიძღვნილი კონგრესი.

მორიგი კონგრესი, რომელიც განიხილავს საკითხს „სპორტი თანამედროვე საზოგადოებაში“, საბჭოთა კავშირში ჩატარდება. ასე გადაწყდა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საერთაშორისო საბჭოს აღმასკომის XXX სხდომაზე, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირის, დიდი ბრიტანეთის, რუმინეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის, ეგვიპტის, კუბის, ლიბანის, პოლონეთის, ბელგიის, ამერიკის შეერთებული შტატების, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წარმომადგენლები.

სსრ კავშირის სპორტკომიტეტმა კონგრესის მოწყობის ადგილად ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქი აირჩია.

სპორტის, მისი მიღწევებისა და შედეგების პროგრესი წარმოუდგენელია მსოფლიოს წამყვან მეცნიერთა შორის მტკიცე კონტაქტისა და თანამშრომლობის გარეშე.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საერთაშორისო საბჭოს აღმასკომმა დაამტკიცა თბილისის სამეცნიერო კონგრესის საორგანიზაციო კომიტეტი ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საერთაშორისო საბჭოს აღმასკომის პრეზიდენტის რ. ბანისტერის (დიდი ბრიტანეთი) თავმჯდომარეობით. საერთაშორისო საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის ერთ-ერთი მოადგილეა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხანაგი ოთარ ჩერქეზია.

დამტკიცებულია კონგრესის მუშაობის ოთხი ძირითადი მიმართულება: პირველი ფილოსოფია, ისტორია, სოციოლოგია; მეორე — პედაგოგიკა, ფსიქოლოგია; მესამე — ბიოლოგია, ბიომექანიკა, მედიცინა, ფიზიოლოგია; მეოთხე — ფიზიკური კულტურისა და სპორტის ტექნიკურ-ეკონომიკური პრობლემები. ყველა განყოფილებაში ჩატარდება პლენარული და სექციური სხდომები.

კონგრესის მუშაობაში მონაწილეობს სხვადასხვა ქვეყნის ათასზე მეტი მეცნიერი. მსოფლიოს სამეცნიერო კონგრესის მუშაობის პერიოდში გაიმართება ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მსოფლიო საბჭოს აღმასკომის მორიგი ანსამბლეა.

დამტკიცებულია კონგრესის ოფიციალური ემბლემა.

კონგრესის მონაწილეებისათვის შემუშავებულია სამეცნიერო-კულტურული პროგრამა, გათვალისწინებულია კონგრესის გახსნისა და დახურვის საზეიმო ცერემონიალი. კონგრესის მუშაობა უზრუნველყოფილია სინქრონული თარგმნით რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ და ესპანურ ენებზე. გამოიცა საინფორმაციო ბიულეტენები, თეზისების კრებული, მოწყობილია პრესცენტრი და სხვ.

შემუშავებულია დეტალური გეგმა, რომელიც ითვალისწინებს სტუმრებს გააცნოს ქართველი ხალხის ისტორია, მისი დღევანდელი ყოფა, თვალსაჩინო მიღწევები მეცნიერების, კულტურის, ხელოვნების, ეკონომიკის თუ ფიზიკური კულტურისა და სპორტის დარგებში.

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიაში, კინოს სახლსა და ჭადრაკის სასახლეში, რომლებშიც კონგრესის სხდომები გაიმართება, მოწყობილია მეცნიერებისა და ფიზიკური კულტურის მიღწევების ამსახველი გამოფენა. კონგრესის მონაწილეებს შესაძლებლობა ექნებათ გაეცნონ ჩვენი რესპუბლიკის ფიზიკური კულტურის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, აგრეთვე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის, სხვადასხვა მსხვილი სამეცნიერო ცენტრების მუშაობას. ისინი ეწევიან სამრეწველო საწარმოებს, გაეცნობიან სოფლის მეურნეობას, დაესწრებიან სხვადასხვა სპორტულ მეცადინეობებს, შეხვდებიან რესპუბლიკის მოწინავე ადამიანებს...

თბილისში ჩამოსულ კონგრესის მონაწილეთა შორის იქნებიან მეცნიერები, რომლებიც სხვადასხვა იდეოლოგიურ პლატფორმაზე დგანან. გულთბილ მასპინძლობასთან ერთად, საჭიროების შემთხვევაში, მზად ვართ საუბრებში, გამოსვლებში, დისკუსიებში მტკიცედ და დასაბუთებულად დავიცვათ კომუნისტური მსოფლმხედველობის, მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების, სოციოლოგიის, საბჭოთა სპორტის პრინციპები და პოზიციები.

რა შეგვიძლია მოვუთხროთ ჩამოსულ სტუმრებს საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის შესახებ?

თუნდაც ის, რომ სამოცი წლის წინათ საქართველოში ფიზიკურ კულტურას და სპორტს მხოლოდ რამდენიმე ასეული ადამიანი მისდევდა, ამჟამად კი რესპუბლიკაში მილიონნახევარზე მეტი ფიზკულტურელი და სპორტსმენია. გვაქვს 70-ზე მეტი კეთილმოწყობილი სტადიონი, 1.192 ვრცელი სპორტული დარბაზი, 40-ზე მეტი საცურაო აუზი, 6.000 სპორტული მოედანი...

ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებმა სსრ კავშირის ჩემპიონის ხუთასამდე ოქროს მედალი მოიპოვეს, 118-ჯერ გახდნენ ევროპის ჩემპიონები, 67-ჯერ მსოფლიოს ჩემპიონები.

გასულ შვიდ ოლიმპიადაში რესპუბლიკის 108 სპორტსმენი შედიოდა სსრ კავშირის ოლიმპიურ გუნდში. მათ 20 ოქროს, 17 ვერცხლის და 25 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

აღსანიშნავია ისიც, რომ 1952 წლიდან დაწყებული, რესპუბლიკის თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა ყველა ოლიმპიურ თამაშებში მოიპოვეს მედლები.

საბჭოთა საქართველოს დღეს ჰყავს 206 სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი, 212 საერთაშორისო კლასის სსრ კავშირის სპორტის ოსტატი, 113 სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, 500-მდე რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი...

ყველა ეს თვალსაჩინო წარმატება მიღწეულია ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრიობით, სპორტსმენთა ოსტატობის განუხრელი აღმავლობით, პარტიისა და მთავრობის შეუნელებელი ზრუნვით.

XXII ოლიმპიურ თამაშებზე ჩვენი რესპუბლიკა წარდგება სპორტის ისეთი სახეობებით, როგორიცაა სხვადასხვა სახის ჭიდაობა, მძლეოსნობა, კრივი, სასტენდო სროლა, ტყვიის სროლა, მშვილდოსნობა, ველოსპორტი, ფეხბურთი, კალათბურთი, ხელბურთი, ალბათ, წყალბურთიც.

ჩვენი სპორტსმენებისათვის მოსკოვის ოლიმპიური თამაშებისათვის მზადების დევიზი გახდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ედუარდ შევარდნაძის შთამაგონებელი სიტყვები: „ყოველ სპორტსმენს მოეთხოვება მაქსიმალური შინაგანი მობილიზება, ორგანიზება, ტაქტი და სიმტკიცე, კოლექტივის ერთგულება და კოლექტივიზმის უცვლელი გრძნობა“.

საბჭოთა ადამიანები იბრძვიან და კვლავაც იბრძოლებენ ოლიმპიური მოძრაობის მაღალი იდეალების გასაფართოებლად.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№7 (523). ივლისი, 1980

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

© „დროშა“, 1980 წ.

მთავარი რედაქტორი
ხუტა ბერულავა

სარედაქციო კოლეგია:

გულნარა გახტაძე,
თენგიზ გოგოლაძე
(პ/მგ. მდივანი),
ოთარ დემეტრაშვილი,
გურამ დოჩანაშვილი,
სერგო ფურმიშიძე,
რევაზ მარგიანი,
დინარა ნოდია
(მხატვარი-რედაქტორი),
ლადო სულაბერიძე,
ილია ტაბაღუა,
უჩა ჯაფარიძე.

თბილისელი ვეფხოვნებანი

სოციალისტური შრომის გმირი ალექსანდრე დათაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალისტური შრომის გმირი კუზმა ლუბავსკი

ბელი ინჟინრები, სპეციალისტები, სამეურნეო ერთეულების ხელმძღვანელები, დამპროექტებლები.

— ამოცანა ნათელია. ახლა ჯერი ჩვენზეა. რას იტყვით, მეგობრებო, შევძლებთ ამ საქმის შესრულებას? — მიმართა სამმართველოს უფროსმა მშენებლებს.

დუმილი ჩამოვარდა.

— იქნებ გადაგვეწია მეტროს მეორე რიგის ჩაბარების ვადა? — ჩაილაპარაკა ვიღაცამ.

— როგორ გეკადრებათ, — ფეხზე წამოდგა № 5 საგვირაბო რაზმის უფროსი რომან ჭელიძე, — ხალხი მოუთმენლად მოელის მეორე რიგის დამთავრებას. რა პირით უნდა ვითხოვოთ, რომ კიდევ გაგვიგრძელონ ვადა. დიდი სამუშაოები მოგველის, მაგრამ ქუდზე კაცი უნდა გამოვიდეთ, შეუძლებელი უნდა შევძლოთ!

— სწორია!

— ასეა, ასე!

— დღესვე უნდა დავიწყოთ მუშაობა! — ყოველი მხრიდან დაუკრეს კვერი მშენებლებმა რომან ჭელიძეს.

ახლა, როცა მგზავრები ხალვათად მიუყვებიან გრანიტით მოპირკეთებულ დარბაზს, როცა ნაწილი საესკალატორო გვირაბით სასტუმრო „კოლხეთთან“ ამოდის, ნაწილი კი აივლის კიბეს, მარმარილოთი ნაგებ დერეფანში შევა და სასურველი მიმართულებით გაეშურება — შეიძლება მათ წარმოდგენაც არ აქვთ, რა ჯაფითა და რუდუნებით იგებოდა ეს რთული კომპლექსი, რამდენი თეთრად გათენებული ღამე მოანდომეს მეტროშენებლებმა მის სრულყოფას. არ იციან, როგორი თავდადებით ებრძოდნენ კლდოვან ქანებს ლერი ბაღაშვილის, იორამ გიგოლაევის, მიხეილ შუკვანის, თევდორე კაჩმაზოვის, ნუგზარ კვინტრაძის, ამირან ზარქუას, ზურაბ მიმინოშვილის, ნუგზარ ვაჭარაძის და სხვათა კოლექტივები; როგორ დასტრიალებდნენ თავს მშენებლებს ინჟინრები და ტექნიკოსები. ალბათ არც იმის თაობაზე სმენიათ, რომ თვეების განმავლობაში თითქმის სპეცტანსაცმელი არ გაუხდია № 5 საგვირაბო რაზმის უფროსის მოადგილეს, ახალგაზრდა ინჟინერ დავით გურგენიძეს.

შეუძლებელი შეძლეს მეტროშენებლებმა ამ უბანზე! მათ 4-5 წლის საქმე 2 წელიწადსა და 8 თვეში დაამთავრეს. ეს უპრეცედენტო შემთხვევაა სამამულო მეტროპოლიტენის მშენებლობის ისტორიაში.

თითოეული მეტრი გვირაბი ძირითადად ბურღვა-აფეთქების მეთოდით გაჰყავთ. ქანებს ბურღავენ პერფორატორებით. ყოველი ბურღი 1,8 მეტრით უნდა შეიჭრეს კლდოვან ძარღვებში. თითოეულ ჯერზე 22 ბურღილი მზადდება აფეთქებისათვის.

ქანების აფეთქების შემდეგ სანგრევი სავენტილაციო დანადგარებით ნიავდება. ჩამონგრეულ ქანებს მექანიზმებით იღებენ და ვაგონებში ტვირთავენ. დატვირთული შემადგენლობა ჭაურისაკენ მიემართება, სადაც ლიფტის საშუალებით ააქვთ ზედაპირზე და ბუნკერებში ცლიან.

თითოეულ ცვლაში 45-50 ვაგონი მონგრეული ქანი ამოაქვთ მიწისქვეშეთიდან. შემდეგ მძლავრი მანქანებით, რომლებსაც მექანიზებულ მკლავს უწოდებენ, ერთმანეთის მიყოლებით აწყობენ გვირაბის სამაგრებს. ყოველი რკინა-ბეტონის სიმაგრის წონა ერთ ტონაზე მეტია, ხოლო თუჯის სამაგრისა — 700 კილოგრამი.

ერთი წრედის შესაკრავად რკინა-ბეტონის 7, ხოლო თუჯის 10 სამაგრია საჭირო. სამაგრებსა და ქანებს შორის დარჩენილი სიცარიელე რომ ამოივსოს და გვირაბი მტკიცე გახდეს, მათ შორის სპეციალური აპარატით უშვებენ ქვიშა-ცემენტის ხსნარს. გვირაბში მიწისქვეშა წყლებმა რომ არ გამოჟონოს, განსაკუთრებული ცემენტის ხსნარით იწყებენ ე. წ. „გვირაბის გამოკვერვას“. შემდეგ იწყება უამრავი სახის სამონტაჟო სამუშაოები: ელექტროგაყვანილობის მოწყობა, ლიანდაგის დაგება, მიწისქვეშა გზის დაბეტონება, მოპირკეთება და ა. შ.

...თითოეულმა ჩვენგანმა იცის, დღევანდელ ეტაპზე რაოდენ დიდი ყურადღება ექცევა სოფლის მეურნეობის, განსაკუთრებით კი მეცხოველეობის განვითარებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნას. მნიშვნელოვანი როლი ენიჭება გამოუყენებელი მასივების ათვისებას. ამ მიზნით იგება 77 კილომეტრის სიგრძის საავტომობილო გზა, რომელიც თელავის რაიონში იწყება და მაღალმთიანი თუშეთის სოფელ ომალომდე მიდის. მაგისტრალის ერთ-ერთი რთული მონაკვეთის — 27 კილომეტრის სიგრძის გრუნტის გზის გაყვანა თბილგვირაბმშენის კოლექტივს დაევალა.

სამშენებლო უბანი 1975 წლის ზაფხულში შეუდგა სამუშაოებს ე. წ. „თორღვას აბანოდან“. შედეგი ერთობ არასახარბიელო იყო — მათ მხოლოდ 7 კილომეტრის სიგრძის „პიონერული“ გზის გაყვანა შეძლეს. ნორმალური მუშაობა ტრასაზე მხოლოდ სამი თვე შეიძლებოდა. შემდეგ კი მოვარდნილი ზვავები, ნისლი, წვიმა, სეტყვა, მეწყერი გასაქანს აღარ აძლევდა მშენებლებს.

ასე რომ გაგრძელებულიყო, ალბათ, სულ მცირე, ათი წელი მაინც დასჭირდებოდა გზის გაყვანას. და აი, ინჟინერმა ავთანდილ გალდავაძემ წინადადება წამოაყენა — ომალოდანაც დაეწყოთ შემხვედრი გზის მშენებლობა, ომალოში უკეთესი პირობები იყო — იქ 9-10 თვის განმავლობაში შეიძლებოდა მუშაობა. საქმეს მხოლოდ ის გარემოება ართულებდა, რომ ომალოში არ გააჩნდათ არავითარი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ყოველგვარი ტექნიკური აღჭურვილობა და საყოფაცხოვრებო საშუალებანი საჰაერო გზით უნდა გადაზიდულიყო ომალოში.

მშენებელთა ეს წინადადება მოიწონეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ.

დაიძრნენ ომალოსაკენ ბულდოზერებით, კომპრესორებით, ავტომანქანებით, საბურღავი აგრეგატებით, ელექტროშემდუღებელი აპარატებით, სამშენებლო, საწვავ-საცხები მასალებითა და ათასგვარი წვრი-

სოციალისტური შრომის გმირი ვიქტორ გოცირიძე

ლმანით დატვირთული შვეულ-მფრენები.

ომალოში მალე გაჩნდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, აიგო მუშათა საცხოვრებელი სახლები. მშენებლები ჩვეული ოავდადებით შეუდგნენ საქმეს.

შედეგი?

1978 წლის 22 სექტემბერს, მართლაც, რომ უმოკლეს ვადაში, „თორღვას აბანოდან“ ომალომდე რეგულარულად ამოძრავდა ტრანსპორტი.

საქართველოს ამ წარმტაც კუთხეს მარტო საძოვრებად როდი გამოვიყენებთ. ომალო განთქმულია მინერალური წყლებით, ტყეებით (მისი სანიტარული ჭრა ყოველწლიურად ასეულ კუბურ მეტრ ხეტყის მასალას მისცემს რესპუბლიკას). აქ აიგება მშრომელთა გამაჯანსაღებელი კერები, ტურბაზები, რაც მთავარია, ფართო გასაქანი მიეცემა სამთო მეცხოველეობას. ყოველივე ეს სიკეთე კი გვირაბმშენებელთა მიერ გაყვანილი გზის წყალობაც იქნება.

...მოსკოველი ნოვატორის ნიკოლოზ ზლობინის ბრიგადული იჯარით საქმიანობა ფართოდ არის ცნობილი ჩვენს ქვეყანაში; ამ სიახლით თავიდანვე დაინტერესდნენ გვირაბმშენებლები.

მათ მტკიცედ გადაწყვიტეს, მიწისქვეშა მაგისტრალების მშენებლობაზეც განხორციელებულიყო ბრიგადული იჯარით საქმიანობა. საქმეს ართულებდა ერთი გარემოება: მეტროპოლიტენის ცალკეულ ობიექტებზე მუშაობა მიმდინარეობს სადღეღამისო ცვლებით. ერთსა და იმავე უბანზე სხვადასხვა ბრიგადას უწევს საქმიანობა. ზლობინის მეთოდით მუშაობისას კი მხოლოდ ერთი კოლექტივია სამშენებლო უბნის „ბატონ-პატრონი“, რომელიც ხელშეკრულებას დებს დამკვეთთან და ვალდებულია ობიექტი დათქმულ ვადაში გადასცეს საექსპლოატაციოდ.

საქმისადმი შემოქმედებითად მიდგომით, ძიებით, მუშაობაში პროგრესული მეთოდების დანერგვით მეტრომშენებლებმა სასურველი შედეგი მიიღეს — ცვლები დაიყო სადღეღამისო რგოლებად, კოლექტივებში გააერთიანეს ის გვირაბმშენებლები, რომლებიც რამდენიმე მონათესავე პროფესიას ფლობენ, სამუშაოები დაყვეს ეტაპებად...

ახლა თბილგვირაბმშენში მრავალი ბრიგადა მუშაობს ზლობინისებურად.

მეტრომშენებელ სპეციალისტებს მალე ახალი გაბედული აზრი დაებადათ. მათ გადაწყვიტეს, არა მარტო ცალკეული ბრიგადები, არამედ მთლიანად უბანი გადაეყვანათ სამეურნეო ანგარიშით საქმიანობაზე. ამ წინადადების ავტორი კლაუს კილაძე იმ ხანებში თბილგვირაბმშენის სამმართველოს საწარმოო განყოფილების უფროსი გახლდათ.

პირველად, ექსპერიმენტის სახით, მეტროპოლიტენის მეორე რიგის ერთ-ერთ უბანზე შეუდგნენ საუბნო-სამეურნეო ანგარიშით მუშაობას. დეტალურად დაამუშავეს მოქმედების სქემა, სამუშაოები დაიყო ეტაპებად, შედგა განრიგი, მთლიანი სამუშაოების განწესი. ყველაფერი ეს დამთავრდა იმით, რომ ასაშენებელი ობიექტი სამი თვით ადრე „ფრიადი“ შეფასებით ჩაბარდა საექსპლოატაციოდ.

ზლობინის მეთოდის შემოქმედებითად დანერგვამ დიდი სიკეთე შემატა მეტრომშენებელთა კოლექტივს. ამჟამად რამდენიმე უბანი მუშაობს ამ წესით.

მიწისქვეშა მაგისტრალების მშენებლობაზე არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც 1952 წელს პირტიტველი ჭაბუკები მოვიდნენ აქ და დღესაც ერთგულად ემსახურებიან საშვილიშვილო საქმეს. ესენი არიან რიგითი გვირაბგამყვანები, ინჟინრები, ტექნიკოსები, მექანიზატორები, მძღოლები, მებეტონეები, დურგლები თუ ზეინკლები. სოციალისტური შრომის გმირების გრუზა ობოლაძის და კუზმა ლუბავსკის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის გიორგი მესხის, ვეტერანი სამთოელების გურამ ქუმარიტაშვილის, რომან ნადარაიას, გიორგი კიწმარიშვილის, სოციალისტური შრომის გმირის ალექსანდრე დათაშვილის ცხოვრება და საქმიანობა მეტრომშენებლობის მდიდარი მატიანის სასახელო ფურცლებია.

ვიქტორ გოცირიძის ინჟინრული ნიჭი და გამჭრიახობა, საქმისადმი გაბედული მიდგომა და ორგანიზატორული ალღო მოსკოვის მეტროპილიტენის მშენებლობაზე ჩამოყალიბდა, სადაც იგი წლების განმავლობაში მუშაობდა ცვლის უფროსად.

სადაც არ უნდა იყოს, ყოველთვის გხიბლავთ ეს მაღალი, თმაჭაღარა ვაჟკაცი — თავისი მიმზიდველი საუბრით, ცოცხალი იუმორით, უშუალობით. ხუთი ათეული წელია ვიქტორი მშენებლობის საქმეს ემსახურება. სად არ შეხვდებით მას — თბილისის მიწისქვეშეთში, მთიან თუშეთში, ელდარ-სამუხის ზეგანზე, კავკასიონის თოვლიან ჭიუხებში, დარიალის ხეობაში, აფხაზეთში თუ რიკოთის უღელტეხილზე.

ვიქტორ გოცირიძე კვლავ მხნედ გრძნობს თავს, კვლავ ვაჟკაცურად, უნარიანად უძღვება მეტრომშენებელთა დიდ შრომით ოჯახს, თავის მდიდარ გამოცდილებას უზიარებს ახალგაზრდა ამხანაგებს.

* * *

თბილისელ მეტრომშენებელთა კოლექტივში დიდი სიხარული და ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებამ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მორიგი XXVI ყრილობის მოწვევის შესახებ.

მეტრომშენებლები ღრმა კმაყოფილებით გაეცნენ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მოხსენებას. ისინი ერთსულოვნად იწონებენ პარტიისა და საბჭოთა მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტბიუროს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მრავალმხრივ მოღვაწეობას.

სკკპ XXVI ყრილობის ღირსეული შეხვედრის მიზნით თბილგვირაბმშენის სამმართველოს კოლექტივმა გადაწყვიტა, ვადაზე ადრე გაენაღდებინა მეათე ხუთწლედის გეგმა. თავდადებული, შემოქმედებითი შრომით მათ სიტყვა საქმედ აქციეს — ივლისის პირველ რიცხვებში შეასრულეს ხუთწლიანი გეგმა.

მეტრომშენებელთა შეტევა გრძელდება.

გიორგი ირემაშვილი

ენისელი ყვარლის რაიონში ერთ-ერთი ჩვეულებრივი სოფელია. მას ალაზანიც ამშვენებს, უძველესი ციხე-ეკლესიებიც, მაგრამ ენისელებმა კარგად იციან, რომ კაცს და სოფელს პირველ რიგში ალალი შრომა ალამაზებს.

სოფლის სული და გული ახალგაზრდობაა. არც შუახნის ადამიანები უდებენ ტოლს ახალგაზრდებს, ისე გულდაგულ ეჭიდებიან საქმეს, რომ მნახველს მუშაობის ხალისზე მოიყვანენ.

სოფელში, რა თქმა უნდა, მოხუცებიც არიან, პენსიონერები, რომელნიც ადრე ხის ჩრდილში ან ბუხრის პირას საუბრით იქცევდნენ ხოლმე თავს.

ხანდაზმულებმა ერთხელ გადაწყვიტეს, მოდით, ერთად შევიკრიბოთ სოფლის მოხუცები და ქვეყანას რამეში გამოვადგეთო.

აი, ასე ჩამოყალიბდა ენისელის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში მოხუც პენსიონერთა ბრიგადა.

ერთ მშვენიერ დღეს ჭარმაგი ძმები გიგა და ვანო ხანიაშვილები თავიანთ უფროს ძმას ზაქარიას ეწვივნენ. მისხდნენ ბუხრის პირას სახელდახელოდ გაშლილ გლეხურ სუფრასთან, ავადმყოფი უფროსი ძმაც გვერდში მოისვეს და ამოღერღეს სათქმელი.

— მოდი, ჩვენს ბრიგადაში ჩაეწერე და ავად აღარ გახდები, — წამოიწყო გიგამ.

— აგრე, აგრე! — კვერი დაუკრა ვანომ, — ოფლში რო გაიხვითქები და პერანგი ხრაშა-ხრუშს დაგიწყებს, ყველა ავადმყოფობა გამოეცლება ჯანს...

დაჰყვა ძმების შეგონებას ზაქარია და საბჭოთა მეურნეობას მიუბრუნდა.

მოხუცების ბრიგადაში 35 წევრი გაერთიანდა. ფართობიც 35 ჰექტარი გაიპიროვნეს. მიდგნენ, თოხები საგულდაგულოდ გამოპირეს, ყამირი გატეხეს და ვაზი გააშენეს.

ყოველ დილით ზვრებისკენ მიმავალი ბერიკაცები მხრებზე, სულ ცოტა, 25 საუკუნე რომ აწევთ, მხნედ მიაბიჯებენ გზაზე, მიდიან საუბრაში გართულები და ფოთლებახასხასებული ზვრებისკენ მიიჩქარიან.

საკავშირო სატრანსპორტო მშენებლობის მინისტრი ივანე სოსნოვი ათვალიერებს თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლობას.

ბერიკაშვილი

მიდიან პაპები: ილია და ვანო, გიგა და გიორგი, ზაქარია და იოსები, როსტომი და სოსო, ალექსი და ისაკი, ლადო და მიხა, ასანა და ფიდა...

როგორც წესი, ყოველთვის სრულად არიან. იშვიათად თუ გამოაკლდებათ ვინმე.

ბიჭოს! მოწადინებამ, თავდადებულმა შრომამ ისე წაახალისა მოხუცები, რომ საქმე წინ წაიგდეს და დამატებით კიდევ 10 ჰექტარი „შინმოუსვლელთა ზვარი“ გაიპიროვნეს.

ზოგიერთი შარახვეტია ერთი პირობა ირონიით შესცქეროდა ზვრებში მოფუსფუსე ბერიკაცებს, მერე შერცხვათ, დანამუსდნენ, გული მოიბრუნეს და ახლა ამ ვეებერთელა სოფელში იშვიათად თუ ნახავთ ზარმაცსა და უქნარას.

მოხუცების ბრიგადამ შარშან, ნოემბერ-დეკემბერში გამეჩხერებულ ახალშენს ოთხი ათასამდე ძირი ვაზი დაუმატა; კიდევ რა? კიდევ ის, რომ ბრიგადის წევრებმა მაგალითი მისცეს ზოგიერთებს და სახელმწიფოს 40 ნასუქი ღორი და 15 სული მოზვერი ჩააბარეს.

ნეტა განახათ, როგორ შრომობენ მოხუცები — გულდაგულ თოხნიან, სარეველას არ აკარებენ ზვრებს, ჭიგოს ასწორებენ, სხლავენ, ფურჩქვნიან, დამს უხსნიან, წამლავენ, თავს დასტრიალებენ და ესათუთებიან ვაზს.

მათი შრომის შესაფასებლად განა საკმარისი არ არის ვთქვათ, რომ მოხუცების ბრიგადამ შარშან 7.000-ზე მეტი კაცდღე გამოიმუშავა.

ვენახში სამუშაოს რა გამოლევს.

ზამთარია. ყინვამოძალებულ ალაზნის ჭალებში და ლერწმიანებში ქარი დაშლიგინებს.

მოხუცები ზვრებში ტრიალებენ, ათასგვარ საქმეს ჩაჰკირკიტებენ.

როცა ვაზი გალაღდება და გაიბადრება, როცა ვენახში მზისა და ღვთის თვალი დატრიალდება, მაშინ უნდა ნახოთ როგორი სიყვარულით შესცქერიან პაპები მტევნებს.

ყველაზე მეტად მაინც ღვინობისთვე უყვართ მოხუცებს; თვითონ ხომ კარგა ხანია დაიდუღეს და ახლა ღვინობისთვეში არიან.

ჰაი დედასა! რა სწრაფად გაფრინდა წლები!

გუშინდელივით ახსოვთ, პირტიტველა ჭაბუკებმა როგორ დაჰკრეს ბარი ახლად ჩამოყალიბებული კოლმეურნეობის მიჯნაწაშლილ მიწას, ცხოვრების ორმოტრიალში წისქვილის ქვა ბევრჯერ დასტრიალებიათ თავზე. დიდ სამამულო ომშიც იბობოქრეს და ომის მერეც არ მოუკლიათ შრომა და შემწეობა სოფლისთვის.

გაჩაღდება რთველი, მოიკრიფება ქარვისფრად ჩათაფლული ყურძენი, აშხეფდება მაჭარი, დადუღდება ღვინო.

თავიანთი გამრჯე მარჯვენით დაყენებულ თავანკარა ღვინოს მოხუცები კოკაში ჩაასხამენ, სიმინდის ქეჩეჩით დაუცავენ თავს და მყუდროზე მიჯდებიან.

თამადა? თამადა აბა გიორგი როგორ იქნება, იგი სანდროსთან შედარებით ბალღია. ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ამბავი რომ ამოიტანეს ენისელში, ათი წლისა თუ იქნებოდა. ბალღია მა რა! თამადად სანდროს ან მოხუცების ბრიგადის თავკაცს ილია ორთავიძეს აირჩევენ.

და შევლენ ეშხში ხანიაშვილი, ბებრიშვილი, ახმეტელაშვილი, მოლაშვილი, ნასყიდაშვილი...

სვამენ შვილების, შვილიშვილების, შვილთა შვილების სადღეგრძელოს. ობლები არიან და წასულ მშობლებსაც იხსენებენ.

სვამენ პატარა ჭიქებით, სვამენ ცოტ-ცოტას, მაგრამ არც არას გამოსტოვებენ.

აბა ისე როგორ შეიძლება, რომ მშვიდობა არ დალოცონ, ჩვენი გამრჯე ხალხი არ ადღეგრძელონ, თავიანთ მომავალ გეგმებზე არ დაასველონ სიტყვა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტანიცა ვეშენსკაია, ორგზის სოციალისტური შრომის გმირს მიხეილ შოლოხოვს

ძვირფასო მიხეილ ალექსანდრეს ძევ!

სიხარულით გავიგეთ, რომ 5 ივლისს თქვენი მშობლიური დონის მიწაზე, სტანიცა ვეშენსკაიაში, საზეიმოდ გადმოგეცათ ლენინის ორდენი და მეორე ოქროს ვარსკვლავი „ნამგალი და ურო“.

მადლიერ მკითხველთა სახელით, ჟურნალ „დროშის“ საშუალებით, ერთხელ კიდევ მოგესალმებით თქვენ — ჭეშმარიტად სახალხო მწერალს, დიდი რუსი ერის სახელოვან შვილსა და ყველა მოძმე ხალხის სიამაყეს.

დიახ, ვამაყობთ თქვენით, თქვენი უკვდავი ნაწარმოებებით, მსოფლიო ლიტერატურის საგანძურს რომ ამშვენებენ. სწორედ ამიტომ იყო, რომ საქართველომ მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად გულწრფელი სიყვარულით აღნიშნა თქვენი დაბადების 75 წლისთავი.

მიიღეთ ჩვენი სალამი და მადლობა თქვენი შემოქმედებითი გმირობისათვის, აგრეთვე იმისათვის, რომ ყოველთვის გულთბილად ეხმაურებით საბჭოთა საქართველოს წარმატებებს, რაც განსაკუთრებით დიდია და თვალსაჩინო ბოლო წლებში. გულის ფიცარზე ვიწერთ თქვენს კეთილ სიტყვებს რუსთაველსა და ვაჟაფშაველაზე, ქართული ჩაის ოსტატებზე, მევენახეებზე, სოფლის მეურნეობის მუშაკებზე — ისინი აღგვაფრთოვანებენ ყოველდღიურ, ძნელ შრომაში.

მოხარული ვართ გაცნობოთ, რომ ამჟამად რესპუბლიკაში ახალი ძალით გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ოცდამეექვსე ყრილობის ღირსეულად შესახვედრად, საქართველოს კომპარტიის ოცდამეექვსე ყრილობისა და საბჭოთა საქართველოს სამოცი წლისთავის გმირული საქმეებით აღსანიშნავად.

გილოცავთ სამშობლოს უმაღლეს ჯილდოს, გისურვებთ დიდი ხნის ჯანიერ, ბედნიერ სიცოცხლეს.

დიდი პატივისცემით —

თამარ ყუფუნია, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი; **დარეჯან ტაკიძე**, სოციალისტური შრომის გმირი; **ნიკო ყოჩიაშვილი**, სოციალისტური შრომის გმირი; **გივი წითლიძე**, სოციალისტური შრომის გმირი; **ირაკლი ციციშვილი**, საბჭოთა კავშირის გმირი, პროფესორი; **შალვა ქირია**, საბჭოთა კავშირის გმირი, ავიაციის გენერალ-მაიორი.

ლექსები

ერეკლეული

გილემდარ რამაზანოვი

ამ ლექსების ავტორი გამოჩენილი ბაშკირი პოეტი და მეცნიერია. იგი რამდენჯერმე ესტუმრა საქართველოს და ბევრი შთამაგონებელი სტრიქონიც მიუძღვნა მას. გილემდარ რამაზანოვი ამავე დროს სიყვარულით თარგმნის თავის ენაზე ქართული პოეზიის ნიმუშებს.

* * *

როგორც კი გავა თებერვლის ბოლო
და კარზე ჯიქურ მოდგება მარტი,
მე გაზაფხულზე ვოცნებობ მხოლოდ
და სიჭაბუკის ცეცხლი მწვავს მარტო.

თუმც ისევ წერენ ირიბ სტრიქონებს
ფიფქები ნისლში მიმალულები,
„ვიდრე ჩემთან ხარ, გასწი, იქროლე!“—
ფეხქვეშ მღერიან თხილამურები.

ყველგან კითხულობ ზამთრის
ხელწერას —
მდინარეს საბნად ყინული ჰხურავს,
ჯერ ისევ თოვლქვეშ სძინავს ენძელას
და ცას სათოვლე ღრუბელი ჰბურავს.

თუმც არ დამდგარა ჯერ გაზაფხული,
მაგრამ იმგვარად მიღელავს გული,
თითქოს ჩემსავე სიჭაბუკესთან
მე პაემანი მქონდეს დათქმული.

ჩემს სიჭაბუკეს ვთხოვ პატიებას,
რომ ადრე წასვლას მისას ვჩიოდი, —
ის ჩემში დარჩა მზით და იებით,
ცხელი ქარით და გრილი სიოთი.

და მე, როგორც კი მარტი იწყება,
გულში ჭაბუკურ ცეცხლს ველარ
ვიქრობ,
მე შენზე ვფიქრობ თავდავიწყებით,
და გაზაფხულის დღეებზე ვფიქრობ.

ჩალისფერი ცხენი

მესმის ნაძვების ჩურჩული ნაზი
და იმათ მწვანე თვალებსაც ვხედავ,
ფიქრით კი დავალ მდინარე ბაზის
პირას, ვიგონებ გარდასულ დღეთა.

იყო თამაში ბურთის და ჩოგნის,
იალმასებდა მკლავს სიჭაბუკე,
მოჭიდავეებს უცქერდნენ ზოგნი,
ზოგნი — სარბენად გასულ ჩაუქებს.

ბავშვებს კი უფრო გვიყვარდა დოღი
და რარიგ ძგერდა ჩვენი გულები,
როცა მოჰქროდნენ ბედაურები,
კუდზე მტვრის ნაბადგამობმულები.

და იყო ერთი კამათი, ღელვა,
შეძახილები ჩემი და სხვისი,
ჩვენი არტელის ჩალისფერ ცხენმა
სამ წელს არავის დაუთმო პრიზი.

სოფლის ბიჭების გულგასახარად
მიჰქროდა ცხენი, ქარივით ჩქარი
და მოჯირითე ჰაზისის ხალათს
ვეება ბუშტად ბერავდა ქარი.

და როს სიკვდილის პირბასრი ცელით
დაგვაცხრა ომის გრიგალი ცხელი,
ფრონტზე წავიდა ჯიგიტი ჩვენი,
თან წაიყვანა თავისი ცხენიც.

რა ცეცხლი განვლეს? გულით მხნეები,
ტკივილს და შიმშილს იტანდნენ
რამდენს?
ნეტავ რომელი მდინარეების,
რომელ ტბების და ჭების წყალს
სვამდნენ?

მკერდით მტრის ცეცხლის გადამკეტავი,
გმირის წოდება რომ მიანიჭეს,
ველარ დაბრუნდა სახლში მხედარი,
ველარ შემოხსნა სოფლის კარიბჭე.

მაგრამ მამაცი მეომრის ცხენი
დაბრუნდა რაღაც საკვირველებით,
როგორ გამოვლო მანძილი ვრცელი,
მდინარეები, მთები, ველები?!

როს გამარჯვების ზეიმის დღენი,
მშვიდობის დღენი დადგა მზიანი,
მე ვნახე — განზე გამდგარი ცხენი
ტიროდა როგორც ადამიანი.

მე ახლაც მახსოვს ამბავი რა ხნის,
ვერც დავივიწყებ, რაც ვნახე მაშინ:
ორმოცდახუთი... ზეიმი ხალხის
და მწუხარება ჩალისფერ რაშის...

მხედართმთავრის გული

გერმანიაში, ქალაქ გუცლაუ-
დან (სილეზია) ორ კილომეტრზე
დაკრძალულია მ. ი. კუტუზოვის
გული.

თუმც ეს ამბავი დიდი ხნის არი,
იმ დღეს მე ახლაც ვიგონებ ცხადად.
ვროცლავის მხრიდან როგორც ისარი,
დრეზდენისაკენ ჰქრის ავტოსტრადა.

იმ გზის პირიდან მთა დასცქერს ვაკეს,
ია-იებით მიმოქარგული,
იმ დღეს იმ მთაზე საფლავი ვნახეთ,
იქ განისვენებს უკვდავი გული.

წინაპრის გულთან ბრძოლით მოსულნი,
რუსეთის ვრცელთა ველთა შვილები,
დიდების შუქით გარემოცულნი
საფლავს დავცქერით თავდახრილები.

ომს ჯარისკაცი სად გაექცევა,
ის შებრალებას არასდროს ითხოვს,
და მის გულს შუქად გადაეცემა
ამ დიდი გულის ძალა და სითბო.

სიმღერა

მუსთაი კარიმს

განაგრძობს თავის გზას დედამიწა,
ერთი წამითაც არა ყოვნდება...
მინდა, ზაფხულის მზეში დავიწვა,
შემოდგომა კი მიახლოვდება.

ბუჩქებს ბურუსი ჰფარავს ისევე,
წამწამებს წვიმის წვეთი მისველებს.
იქნებ იმ ნისლებს ამოეფარე,
ზეშთაგონების ჩიტო მგზნებარე?

იქნებ რაკეტთა ახმაურებით
ყარყატებს ზეცა ევიწროებათ?..
ხდება იმგვარი სასწაულები,
არ კმარა ვრცელზე ვრცელი პოემაც.

„სიჩქარე!“ — ჩვენი დროის პაროლი
რეკს და სიტყვას გვთხოვს მაღალს და
ახალს!
მგოსნის მღელვარე გულს სიხარულიც
და ტკივილიც ხომ ყოველთვის ახლავს.

ისურვებ, მეცხრე ცასაც მისწვდები,
ძალგიძს ქვესკნელიც რომ დამანახო,
ნურც ჩემი გული დაგავიწყდება,
ზეშთაგონების ჩიტო ფრთალაღო!

იმედი

მიწას ყინულის ჯავშნით მძიმეთი
ჭედავს ზამთარი თეთრად
მბრდღვინავი...
ჩემ სულში მუდამ ცოცხლობს იმედი
დაუჩრდილავი, გაუყინავი.

მოვა აპრილი სასურველ სტუმრად,
მზით მოირთვება ისევ მამული.
არ მოიბუროს ღრუბელი გულმა,
გულში იმედის ჟღერს სალამური.

არც უმძიმესი დღის ბალღამს შევსვამ,—
განვჭვრეტ მზეს შუქით მოციმციმეთი.
სიყვარულს ჩემსას და რწმენას ჩემსას
მხარში ყოველთვის უდგას იმედი!

სულ მასთან ვივლი, ვიდრე ძგერს
გული,
დამათრობს ყვავილთ სუნთქვა
ზღაპრული;
თუ მას დავკარგავ — ძირს დავეცემი,
როგორც ფრინველი ტყვიადაკრული...

ღარიბი ხარო, ნუ მეტყვის ვინმე,
არც მინატრია მე სხვა ქონება,
ნუ დამაშორებთ ოღონდაც იმედს,
ჩემს დიდ სიხარულს, ჩემს შთაგონებას!

თარგმნა **თეიმურაზ ჯანგულაშვილმა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი სოფელი

გაუმარჯოს უკეთესს!

ჩანაწერები

ლავრენტი ჭიჭინაძე

დიდი იყო ჩემი სოფელი, ძალიან დიდი. აღარ ეთქმოდა ერთსოფლობა. ბოლოს გაიყო. სახელი მაინც ძველი შერჩა, მხოლოდ ზედა და ქვედა დაემატა.

ზედასაც ბევრი უბანი აქვს და ქვედასაც.

ჩემი უბანი ქვედა სოფლის განაპირას არის. იქ თავდება სოფელი?.

— არა!

ვინმემ არ იფიქროს, თითქოს ქვეყნის დასალიერში ვცხოვრობ.

ჩემი უბნის შემდეგ, ერთი იმერული სოფლისოდენა ფართობზე, არავინ ცხოვრობს. თვალუწვდენელი ვაკეა. ძალიან შორს, სადაც სერი ჩანს, მეორე სოფელი იწყება რომელიც სხვა რაიონს ეკუთვნის.

ვაკეს ზემოდან რომ დაჰყურებ, თვალს იტაცებს ვაზის ნარგავები.

იმ წუთში უკეთესს ვერაფერს ინატრებ!

ვენახი, ვენახი, ვენახი!

მარტო გაზაფხულზე, ზაფხულსა და შემოდგომაზე კი არა, სოფელში მუშაკაცს ზამთარშიც აქვს საქმე.

გაზაფხულზე: სხვლა, თოხნა, თესვა, ვაზის გადახვევა.

ვაზისა და ხეხილის შეწამვლაც გაზაფხულზე იწყება. ზვარში მიმოდიან ბურში გახვეული მანქანები. შორიდან ისე ჩანან, თითქოს ბურის ვეება გორგალი მოგორავსო. მერე როგორი? თეთრი კი არა, ლურჯი!

შემოდგომაზე?

ზვრებიდან გამოაქვთ მანქანებზე დადგმული ყურძნით სავსე გოდრები.

ეს არის სოფლის ბარაქა.

მიდის უხვი დოვლათი დიდ მარანში.

ვენახებს იქით: ხეხილის ბაღი, ვაზის სანერგე, ყანები — ალაგ ჯეჯილი ბიბინებს, ალაგ სიმინდია, მერე კი საძოვრები, აქეთ აგრეთვე თუთაა გაშენებული.

ამის შემდეგ იწყება მეორე სოფელი.

ჩემი უბანი მდინარის ნაპირზეა. მდინარეს ჩოლაბურს ეძახიან.

ჩოლაბური სოფლის მცხოვრებთა ნამდვილი ემბაზია. ზაფხულობით ამ მდინარეში ბანაობს დიდი და პატარა.

ახლა თევზაობა?

მებადურნი შლიან ბადეებს, მეანკესენი სულგანაბული სხედან მდინარის ნაპირზე.

გემრიელი თევზი იცის ჩოლაბურმა.

ეს პატარა მდინარე განთქმულია იმითაც, რომ მასზე გადაჭიმულია რვასაუკუნოვანი ხიდი, რომელიც თამარ მეფის დროს ყოფილა აშენებული, ამიტომაც ამბობენ: თამარის ხიდიო.

უბანი თუა, აბა გზა როგორ არ ექნებაო, იტყვის კაცი. ჰქონდა, მაგრამ ტალახიანი. უბანს ნამდვილი გზა ახლა აქვს. უწინდელი ქოხმახებიც აღარ არის. გზის ორივე მხარეზე ჩამწკრივებულია ლამაზი სახლები, ხის კი არა, ხასხასა წითელი აგურისა და ბლოკის.

ყოველ ოჯახში ხმაურობს რადიო.

სამუშაოდან დაბრუნებული მუშაკაცი შესცქერის ტელევიზორს. ვიღას ახსოვს დაღლა! მრავალფეროვანია მისი პროგრამა: სიმღერა, საუბარი, კინო, თეატრი, შინაური და უცხოური ამბები!

ასეთია დღეს არა მარტო ჩემი უბანი, მთელი სოფელი.

იქნებ ვინმემ თქვას, ჩემი სოფელი უკეთესიაო!

სასიამოვნოა! მივესალმები უკეთესს! გაუმარჯოს უკეთესს!

სანატრელი

ადამიანს რაც აკლია, ის ენატრება. ჩემს სოფელშიც არიან ასეთი მონატრულნი. ზოგს რა ენატრება და ზოგს რა!

ზოგი თავის სანატრელს საუბრის დაწყებისთანავე გამოამჟღავნებს.

ასეთი კაცია გიგო.

როცა შეეკითხებიან ხოლმე, როგორა ხარო? გიგო ასე დაიწყებს:

— რაღა როგორა ვარ! სულ გოგოები მყავს. ერთ ოჯახში ხუთი გოგო პატარა ამბავია? ერთი ბიჭი მაინც გამომრეოდა.

— შვილი, შვილია! რას მიქვია, გოგო და ბიჭი? — ამშვიდებენ მას.

— ეჰ! — ამოიოხრებს გიგო და ამბობს: — სხვისი ჭირიო და ღობეს ჩხირიო!

ყველას აქვს თავისი სანატრელი. ზოგი სანატრელს გიგოსავით გულღიად ეუბნება ყველას, ზოგი კი არ ამბობს, მხოლოდ გაკეთებულ საქმეში გამოხატავს.

სოფელში ამისთანა ადამიანებიც არიან.

აი, თუნდაც ფართხუნა.

მას უყვარს თავისი ეზოს შემორაგვა ცათამწვდენი ღობით. ფართხუნას ეზოში მხოლოდ ფრინველს შეუძლია ჩახედვა. მგზავრი, ძალიანაც რომ ეცადოს, ვერ გადაიხედავს, ანდა რა საჭიროა სხვის ეზოში ჭვრიტიმალობაო, იტყვის კაცი. მართალი ბრძანებაა.

ერთხელ უცხო სტუმარი მეწვია. იგი პირველად იყო ჩემთან. ასე მითხრა: კარგი მდებარეობა აქვს შენს სოფელს, აქედან ძალიან შორს ვიხედებიო. მოეწონა ეზოები. ერთ ეზოში ვერ გადაიხედა— ისეთი მაღალი ღობე ჰქონდა შემოვლებული.

— ამ ეზოში ალბათ ყველაზე მაღალი კაცი ცხოვრობს, თორემ ასე მაღალ ღობეს სხვა ვინ გარაგვავდა? — მითხრა სტუმარმა.

— პირიქით, აქ ყველაზე დაბალი კაცი ცხოვრობს, — ვუპასუხე მე.

მაშინ სტუმარმა მითხრა:

— ბუნებას რაც მისთვის დაუკლია, ის ღობეში ჩაუქსოვია.

— ჰქონდეს მაღალი ღობე, ჩვენ არაფერს გვიშავებს, — გამოვექომაგე მეზობელს.

— მართალი ხარ, — მითხრა მოსაუბრემ, — მაგრამ მისი სანატრელი, იცოდე, ნათლად არის გამოხატული ამ ღობეში!

სოფლის დილა

ზაფხულის დილა თენდებოდა.

არც იყო კარგად გათენებული, მთელი უბანი ერთბაშად გამოცოცხლდა. ისეთი ხმაური ატყდა, თითქოს რაც ღამის მყუდროებაში იყუჩეს, ახლა სურთ მისი ანაზღაურებაო.

ადამიანთა ხმაურს შინაური ფრინველებისა და ოთხფეხა ცხოველების მოძახილიც აჰყვა. ერთმანეთში აირია ქათმების კაკან-კრიახი, წიწილების წიაქი, ბატების ყატყატი, ინდაურების ლოყლოყი, იხვების კუტკუტი, ღორების ღრუტუნი, გოჭების ჭყივილი. ამ დილის „ჰარმონიას“ ცხვრებმაც თავიანთი მე-ე, მე-ეო შეუერთეს.

გზაზე საქონელი გამოიშალა, გაუდგნენ გზას ნაჩვევი საძოვრებისაკენ.

ხმაურის გუნებაზე მყოფი მათ შორისაც გამოჩნდა. ეს იყო წითელი მოზვერი. ბღუოდა, ფეხებით ფხეკნიდა მიწას, ბუღრაობდა. მაღლა აყრილ პატარა რქებს პალოებივით ასობდა ნიადაგში. ხან ხტოდა, ხან თავით დააცხრებოდა მიწას. ეტყობოდა, მოზღვავებული ენერგია არ ასვენებდა. ამასობაში ნახირი კარგა შორს დაწინაურდა. ბუღამ ბუღრაობას დაანება თავი, აიყინჩა, გასწორდა, ახლოს რომ ვერავინ დაინახა, ახტადახტა, ტლინკები აყარა, მერე

გაიქცა, წამოეწია დაწინაურებულთ. ისე გაყინჩული აბრიალებდა თვალებს, თითქოს ეუბნებოდა ნაჯაფარ ხარებს, მეწველ ძროხებს, უშობლებს: რა ჩამოგიყრიათ ყურები? მოდით, ჩემსავით იკუნტრუშეთო! მაგრამ ისინი დინჯად მიდიოდნენ. ბუღას კი ძალა ერჩოდა, არ ასვენებდა.

იმ დილასაც ყველაზე უწინ მაინც ხალხი წამოიშალა.

შუა გაზაფხული იყო.

დედამიწა მწვანეში ფოფინებდა. ყვავილების საამური სუნი იდგა, მუშაკაცს საქმე უხმობდა.

ადამიანმა იცოდა, რომელი საქმე უფრო ადრე იყო გასაკეთებელი და იქითკენ მიეშურებოდა. გუგუნებდნენ ტრაქტორები.

სოფლის გზაზე გამოჩნდა სატვირთო მანქანა, ძარაში ხალხი ფეხზე იდგა. იდგნენ და მეზობლებს ეძახოდნენ:

— აბა, წამოდით, წამოდით! საქმე მოლოდინშია!

ყოველი სულდგმული თავისებური ხმით აცოცხლებდა ბუნებას, მაგრამ ყველაზე მეტი გამაცოცხლებელი მაინც ადამიანის ხმა იყო — უფრო ნათელი!

თითქოს უცებ მოვარდნილმა მდინარემ ჩაიარაო, ასე გადაუარა სოფელს დილის ხმაურმა.

მერე?

სოფელში სიჩუმემ გაიდგა ფეხი.

ყოველმა სულდგმულმა თავისი ადგილი მოძებნა.

განა მარტო იმ დღეს გათენდა უცნაური, ადრიანი ხმაურიანი დილა?

არა.

სოფელში დილა ყოველთვის ასეთია. იგი ალბათ ქალაქელ კაცს მოეჩვენება უცნაურად, თორემ სოფელში ვის გაუკვირდება? იქ ასეთი დილა ჩვეულებრივია. წარსულს ჩაბარდა, უწინდელი წყნარი დილა და მყუდროებაში ჩაფლული სოფელი.

ოტიას წყარო

მაღალი კლდე!
ძირს მდინარე მიდის.

დიდი როდია ეს მდინარე, მაგრამ ქვეყნის გაჩენიდან სულ ასე მიდის და მიდის.

მაღლა, კლდის თავზე ტყეა, ტყე აკაციის. გაზაფხულზე, ყვავილობის დროს, ჯერ კიდევ ფოთოლი რომ მოუმძლავრებელია, ეს ტყე თეთრად დაიბურება ხოლმე. მაშინ მთელი მიდამო საამო სურნელით ივსება.

ზაფხულის ცხელ დღეებში ამ კლდიდან გრილი ჩრდილი გადაწვება ხოლმე მდინარეზე. ძირს, კლდესა და მდინარეს შუა, ნახევრად მრგვალი, მაგიდასავით გაშლილი კლდის წაგრძელებაა. იქამდე ბილიკი ჩადის. მთელი ზაფხულის დღეებში დილიდან საღამომდე ჟრიამულობენ აქ ბავშვები. არა მარტო ბავშვები, დიდებიც ისვენებენ, ბანაობენ.

ბუნებას ამ მოხდენილი ადგილითაც დაუსაჩუქრებია ჩემი სოფელი.

აქვე კლდეში წყაროა გამოკვეთილი.

რა კარგი სიტყვაა: წყარო!

ვის არ გაუგონია: წყაროსავით წმინდაო, წყაროსავით მოდისო, სიკეთის წყაროო. ბავშვებსაც ხომ აქვთ გაზეპირებული: წიგნი ცოდნის წყაროაო!

ყოველგვარ კეთილს, კეთილშობილს ხშირად წყაროს ადარებენ.

კლდისთავის ვაკეზე ბაბუა რომ დასახლებულა, მაშინ ის კლდის წყარო არ ყოფილა. იმ ადგილზე, სადაც ახლა წყაროა, კლდიდან თურმე წვეთები მოჟონავდა. ბაბუას უთქვამს, აქ შეიძლება წყაროო გაკეთდესო. ლდე თვითონ შეუნგრევია, წყალი წამოსულა და წყაროო გაჩენილა.

კარგად ვიცით, კლდის ეს პატარა წყაროო რამდენი წლისაც არის.

ერთ საუკუნეზე მეტისაა.

დასალევად საამოა.

თავისებური გემო აქვს.

რაც უნდა ბევრი დალიო, არ გაწყენს. ხალხის დაკვირვებას მასში სამკურნალო თვისებაც აღმოუჩენია. მიაქვთ და მიაქვთ დოქებით, სურებით, ჩაფებით, სათლებით.

მე ვამბობ, ბაბუას წყარომეთქი, თორემ ხალხი ოტიას წყაროს ეძახის.

ამ წყაროს გვერდით რომ ჩამოვჯდები და წყალსა ვსვამ, თითქოს იდუმალი ხმა მესმის:

— ყოველმა ადამიანმა თავის სიცოცხლეში ერთი ასეთი კარგი საქმე მაინც უნდა გააკეთოს!

შთამაგონებელია ეს იდუმალი ხმა!

იგი წინ მიმიძღვის ლამპარივით.

ბაბუაჩემს რომ გამოყავდა ეს წყაროო, თავისი სახელის უკვდავებაზე არ ფიქრობდა. იქნებ ვინმემ მითხრას, შენ არ იყავი მაშინ ამ ქვეყანაზე და საიდან უწყი, რასა ფიქრობდაო?

ჰოდა, პასუხსაც ვიტყვი, მას ჩემთვის და არც სხვისთვის არასოდეს უთქვამს, წყაროო მე გავაკეთეო. ამას სხვები ლაპარაკობენ, ამ კეთილი საქმით მისი სახელი დღესაც ცოცხლობს, ხომ ამბობენ, ოტიას წყაროო. სწორედ ამაშია მისი სიცოცხლე!

(გაგრძელება იქნება)

ტროპას ეროვნული პარკი

ასხი ოდიშის, ლეჩხუმისა და ქვემო იმერეთის საზღვარზე მდებარეობს. მისი უმაღლესი მწვერვალი 2.500 მეტრზეა აზიდული ზღვის დონიდან.

ასხის მასივი ძირითადად ცარცული ასაკის კირქვებით არის აგებული და მისი ზედაპირი მრავალრიცხოვანი ძაბრებითაა დაცხრილული. ამ ძაბრების ფსკერზე არსებული სასულეებისა და ნაპრალების საშუალებით ატმოსფერული ნალექები მიწისქვეშ იჟონება, ნაპრალებს აფართოებს და მრავალკილომეტრიან ლაბირინთებს წარმოშობს.

ნიადაგში ჩაჟონილი წყალი მასივის პერიფერიულ ნაწილში ზედაპირზე გამოედინება ვოკულზების და ჩანჩქერების სახით.

საქართველოს მრავალრიცხოვან კარსტულ მასივებს შორის ასხის მასივი გამოირჩევა როგორც ზედაპირული, ასევე მიწისქვეშა კარსტული ფორმების სიუხვით.

ლანდშაფტური მრავალფეროვნებითა და რთული გეოლოგიურ-გეომორფოლოგიური პირობებით ასხი დიდი ხანია იპყრობს მეცნიერთა ყურადღებას.

არცთუ ისე დიდი ხნის წინათ, აქ მხოლოდ რამდენიმე მღვიმე იყო ცნობილი. ერთ-ერთ მათგანში — ჯორწყუს მღვიმეში გ. დევდარიანმა და დ. დვალმა პირველყოფილი დომბას, ფოცხვერისა და მღვიმური დათვის ძვლები აღმოაჩინეს, ხოლო პროფესორმა ლ. მარუაშვილმა ამავე მღვიმეში ზედაპალეოლითურ ფენებს მიაკვლია.

ასხის მღვიმეების ერთ-ერთი მკვლევარი, პროფესორი ლ. მარუაშვილი 1963 წელს წერდა, რომ ასხის მასივში უნდა იყოს საქართველოს უგრძესი მღვიმეები, რომელთა შესწავლა ბევრ სპელეოლოგს მიიზიდავს.

უკანასკნელ წლებში სავსებით დადასტურდა ეს წინასწარმეტყველება.

ამჟამად ასხის მასივზე აღმოჩენილი და შესწავლილია სამოცდაათამდე მღვიმე, შახტი, უფსკრული. სპელეოლოგიური თვალსაზრისით აქ ყველაზე საინტერესოა ტობას აუზი, სადაც თორმეტი დიდი და მცირე მღვიმეა გამოკვლეული. ტობას მღვიმოვანის შესწავლილი მონაკვეთების ჯამური სიგრძე 2.600 მეტრზე მეტია. მღვიმეები ურთიერთდაკავშირებულ რთულ მიწისქვეშა სისტემას ქმნის. მათ შორის უგრძესია ა. ოქროჯანაშვილის მღვიმე, რომლის ჯამური სიგრძე ათას სამასი მეტრია.

დიდებული სანახაობა იშლება ამ მღვიმის შესასვლელიდან. ჩვენს ქვემოთ ოქროსფრად მოჩითული ონიორესა და წიფერას სანახები გადაშლილა; მწვანეში ჩაბურულა რაჩხის წყლისა და ტობას ხეობები, ხელმარჯვნივ — მუჩერას ქედია, შორს, მარცხნივ, — მიგარიას კირქვული მასივი, ხოლო უფრო შორს, ცის სილურჯეში სამეგრელოს ქედის დაკბილული მწვერვალები ისახება. მღვიმის შესასვლელთან ჭერიდან მორღვეული, ხავსმოდებული, ვეებერთელა ლოდები ყრია.

გვირაბის სიგანე შესასვლელთან ჩვიდმეტი მეტრია, ჭერის სიმაღლე— ოცი მეტრი. სიღრმეში გვირაბს თაღის ფორმა აქვს. ძირითადი მაგისტრალის ფსკერზე მიწისქვეშა მდინარე გაედინება. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის სპელეოლოგიურმა ჯგუფმა ამ მღვიმეს პირველად 1963 წელს მიაკვლია ა. ოქროჯანაშვილისა და ამ წერილის ავტორის შემადგენლობით. მღვიმეში ნაღვენთებით მდიდარი რამდენიმე დარბაზია. ერთ-ერთ ყველაზე დიდ და ლამაზ დარბაზს, „ნონას დარბაზი“ ვუწოდეთ, ჩვენი სახელოვანი მოჭადრაკის ნონა გაფრინდაშვილის პატივსაცემად. ნაღვენთების სიუხვით გამოირჩევა ასევე „უნივერსიტეტი — 50“, „ნანა ალექსანდრიას დარბაზი“, „სალონი“ და სხვა.

ამ მღვიმის მახლობლად მდებარეობს „ტობას პირველი“ მღვიმე. რომლიდანაც მძლავრი მიწისქვეშა მდინარე გამოდინდება. იგი ზედაპირზე მეტად ეფექტურ ჩანჩქერს წარმოშობს; მისი თავისუფალი ვარდნა ორმოცდაათ მეტრზე მეტია. ამავე მღვიმეში, შესასვლელიდან სამოცდამეათე მეტრზე, მდებარეობს ოცდაერთმეტრიანი მიწისქვეშა ჩანჩქერი, რომელიც ჯერჯერობით უდიდესია ჩვენს ქვეყანაში.

რესპუბლიკაში გვაქვს საერთაშორისო სტანდარტების დონეზე კეთილმოწყობილი ახალი ათონის მღვიმე, რომელსაც ყოველდღიურად რამდენიმე ათასი კაცი ათვალიერებს ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან, ასევე საზღვარგარეთის ქვეყნებიდან. მაგრამ ეს საკმარისი როდია. ამჟამად საქართველოში შეიძლება რეკომენდირებულ იქნას ორი ათეული მღვიმე, რომელთა კეთილმოწყობა ტურისტულ-საექსკურსიო მიზნებისათვის სავსებით მიზანშეწონილია. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის დადგენილებაში—„რესპუბლიკაში ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლების დაცვა-გამოყენების მდგომარეობისა და ამ საქმის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ „დღევანდელობის მოთხოვნებს ჯერ კიდევ ჩამორჩება კარსტული მღვიმეების კეთილმოწყობა და ათვისება“.

ტობას მღვიმოვანისადმი ყურადღება სწორედ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ამ დიდმნიშვნელოვანი დადგენილების შუქზე უნდა იქნეს განხილული. ტობას უნიკალური მღვიმოვანი დროულად მოითხოვს მეტ ყურადღებას და გულისხმიერებას.

ჯუმბერ ჯიშკარიანი

ჯუმბერ ჯიშკარიანის ფოტო.

ტოგას მღვიმოვანი



ზურაბ წერეთელი



- საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარი ზურაბ წერეთელი.
- პროფესორი (აშშ). ზურაბ წერეთლის ნამუშევარი კომპლექსი — „ბედნიერება მთელი მსოფლიოს ბავშვებს".
- იალტა. სკულპტურული კომპოზიცია ზღვის პირას.
- პროფესორი. ზურაბ წერეთელი და მისი მეუღლე ინესა ბავშვთა სკულპტურული კომპლექსის საზეიმო გახსნაზე.
- პოეტი ანდრეი ვოზნესენსკი (მარცხნივ) ესაუბრება ზურაბ წერეთელს.
- პროფესორდის უნივერსიტეტში ფერწერის გაკვეთილს ატარებს ზურაბ წერეთელი.
- ისტორიის მეცნიერების კანდიდატი, დოცენტი მამია ჩორგოლაშვილი (მარჯვნივ) და ზურაბ წერეთელი.

გიგი კიკვაძის ფოტო.







ინდოეთში

- ჩიდამბარამის ტაძარი.
- თაჯ-მაჰალი.
- მაჰარაჯის რეზიდენცია ჩანდრა-მაჰალში (ჯაიპური).
- ტირუვანის ტაძარი.
- [illegible] ტაძარი

ზღვისფერ ქვეყანაში

„სად არის სხვა ქვეყანა,
თვალისათვის
ეგზომი სივრცისა და სულისათვის
ესოდენი
განცდების მომნიჭებელი...“

რაბინდრანათ თაგორი

ილუმინატორში მთელ ღამეს იჭყიტებოდნენ ვარსკვლავები და ვეჩურჩულებოდი რაბინდრანათ თაგორის გიტას:

„წინ დიდი გზა მაქვს და ხანგრძლივი მგზავრობა მელის, ნათლის პირველი სხივის ეტლით გავცურე სივრცე...“

მალე ცაზე ცისკარი ამობრწყინდა და „ბოინგი“ ღმერთების სამფლობელოდან ღმერთებისავე საკურთხეველში დაეშვა.

უსაზღვროდ ლურჯი ცის კაბადონის ქვეშ ტანწერწეტა პალმები დამაბრამავებელ მზეს უფენდნენ მარაოებს და თითქოს უჩრდილეჭდნენ ტროპიკული სიცხისაგან გათანგულ მიწას...

ფეხმორთხმული ბუდა მრისხანედ გარინდულიყო, დემონზე ამხედრებული შივა ისევ ცეკვავდა, ქალღმერთი სარასვატი კითარას აკვენესებდა და სარში გამოკვალთული ფეხშიშველა ინდოელი ლამაზმანები ყვავილწნულებს ჰკიდებდნენ თავიანთ კერპებს...

მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ იგრძნობა სარწმუნოებრივი მრავალფეროვნება ისე, როგორც ინდოეთში, — ისლამი, ბუდიზმი, სიქიზმი, ზოროასტრიზმი, ქრისტიანობა...

უმაღლესი ღვთაება სამებაა: ბრაჰმა, ვიშნუ და შივა.

ბრაჰმა სამყაროსა და სულიერის შემოქმედია. ალბათ მისი გამოსახულებაც იმიტომ არის ოთხხელიანი და ოთხსახოვანი, სამყაროს ოთხივე კიდეს რომ მისწვდეს ღმერთის მზრუნველი ხელი და მფარველი მზერა. ვიშნუ ბუნების მფარველია, შივა კი ბუნების მრისხანე სტიქიის მბრძანებელი.

უძველესი ინდური ლეგენდის მიხედვით, სახალხო გმირმა ბჰაგირატმა ბრაჰმასა და შივას სთხოვა დედამიწისთვის ეჩუქებინათ ღმერთების მდინარე განგა, რომელიც ცაზე მიედინებოდა. წყალუხვი მდინარე მორწყავდა გვალვიან მიწას და ხალხი უხვ მოსავალს მოიყვანდა. გმირმა მოინადირა ღმერთების გული, მაშინ განრისხებულმა მდინარემ მოინდომა თავს დასტყდომოდა დედამიწას, მაგრამ შივამ გზა გადაუღობა და საკუთარ თმაში გახლართა. განგა მდორედ დაეშვა დედამიწაზე. მადლიერმა ხალხმა შეიყვარა ბედნიერების მომტანი ქალღმერთი მდინარე და დედამიწაზეც წმინდა მდინარედ შერაცხა, წყალს კი სასწაულმოქმედი ძალა მიაწერა.

ინდოეთში მორწმუნე დღესაც სავალდებულოდ თვლის განიბანოს განგას წმიდა წყლით, სიკვდილის შემდეგ კი თავისი ფერფლი გაატანოს მდინარის ტალღებს და უკვდავებას ეზიაროს.

ინდოეთი ქვეყანა-მუზეუმია: შესანიშნავი ხუროთმოძღვრული კომპლექსებით, ბუდიზმის საკულტო ნაგებობებით, ხელოვნების იშვიათი შედევრებით; მღვიმეებში გამოკვეთილი ბარელიეფები, ინდური ხალხური ეპოსების „ბჰაგავადგიტასა“ და „რამაიანას“ სიუჟეტები მსოფლიოს ხალხებისათვის ნაცნობი და ახლობელია.

მაჰარაჯის სასახლე თუ ჯაისინგჰის ობსერვატორია ჯაიპურში, მინარეთები და მეჩეთები დელიში, აქბარის მავზოლეუმი აგრაში, ელიფანტის მღვიმეში გამოკვეთილი ღმერთები, რომელთა შორის ყურადღებას იპყრობს სამსახოვანი შივას ქანდაკება და ბოლოს ისტორიის უტყუარი მოწმე მრისხანე ციტადელები — წითელი ფორტები. მაჰაბალიპურამის ჩუქურთმიან ნიჟარებში ისე ხმაურობს ინდოეთის ოკეანე, როგორც ხმელეთთან შეხვედრისას.

აგრა — ინდოეთის ყოფილი დედაქალაქი. შორიდან მოჩანს მსოფლიოს ერთ-ერთი საოცრების — თაჯ-მაჰალის თაღი.

თაჯ-მაჰალში მარმარილოს თავისი ეპითეტი „ცივი“ დაუკარგავს.

ხუროთმოძღვრის ხელით გამოკვეთილი ჩუქურთმები აქ სიყვარულის, ხელოვნებისა და ხელოვანის სადიდებელს მღერიან.

მუმთაზმაჰალისა და შაჰ-ჯაჰანის აკლდამებზე მიმობნეული ლოტოსი ირგვლივ დამათრობელ სურნელს აფრქვევს.

თეთრი ტაძრის ანარეკლი ტბის ზედაპირზე ლიცლიცებს და თაჯ-მაჰალი მზისა თუ მთვარის შუქზე საკუთარი სილამაზით ტკბება.

„მე ვევედრები უფალს, გულში არ ჩამიქრეს ნათელი“, — ამბობდა რაბინდრანათ თაგორი და ეს ნათელი ანდერძად დაუტოვა ინდოელ ხალხს. ამ ნათელს უხვად გატანენ თან მასპინძლები; იგონებ ინდოეთს, მის მცხუნვარე მზეს, ტროპიკულ წვიმას, ეგზოტიკურ ბუნებას და გრძნობ, რომ ეს ქვეყანა შენთვისაც ძვირფასი და ახლობელი გახდა.

დელიში, კუვატ-ულ-ისლამის მეჩეთთან დგას V საუკუნის ძეგლი — მაგიური სვეტი. გადმოცემა არსებობს, თუ ამ სვეტს ზურგით მიეყრდნობი, ხელებს შემოაჭდობ და რიმეს ინატრებ, უეჭველად შეგისრულდება, და თუ კვლავ ვიხილავ ინდოეთის მცხუნვარე მზეს და მხურვალე მიწას — ვირწმუნებ, რომ ღმერთების ქვეყანაში სასწაული მართლაც არსებობს...

ლეილა ნანიტაშვილი

ულაჯლი ჯასელენჯა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოთხრობა

დავით ასკურავა

იმ კვირა დღესაც ჩვეულებრივ წვრილმან საოჯახო საქმიანობაში ატარებდა ვალიკო. ჯერ ცოლს ეხმარებოდა სარეცხი მანქანის გამართვაში, მერე სამზარეულოს ორი სკამი შეაკეთა.

ერთს ლურსმანი დასცხო მორყეული სამსჭვალავის ადგილზე და ფეხი გაუმაგრა, მეორეს კი ავარდნილი საზურგე დაუწება. ათიოდე წუთის შემდეგ გულდინჯად რომ შეამოწმა სკამი და წებოს ვარგისიანობაში დარწმუნდა, წიგნების კარადისაკენ გადაინაცვლა. წიგნების კარადის კარი დიდი ხანია ჩამოვარდნილი იყო და ახლა ამ საქმეში სცადა წებოს ძალა.

გამოღებული კარადიდან წიგნების წყება მოჩანდა. წიგნები, მართლაც, ბევრი ჰქონდა ვალიკოს. თავისი ნახევარსაუკუნოვანი ცხოვრებიდან ოცდაათი წელი სტამბაში გაატარა და კარადაში ჩაწყობილი წიგნების უმრავლესობა მისი აწყობილი იყო. მადლიერი ავტორები მოწიწებით აჩუქებდნენ ხოლმე წიგნებს კეთილსინდისიერ ასოთამწყობს.

რა სახის და დანიშნულების წიგნებს არ ნახავდით ვალიკოს კარადაში. წიგნები გამოცემის დროის მიხედვით ეწყო. ფიზიკის სახელმძღვანელოს გვერდით არაბული ლექსიკონი იდო, მომდევნო — „ლელ-ვის ჯიშები“, შემდეგ — საბავშვო ლექსების ფარატინა წიგნაკი, შვიდას გვერდიანი ისტორიული რომანი, ცნობილი პოეტის პრიალაყდიანი ლირიკული კრებული...

ყველა წიგნს თავისი ისტორია ჰქონდა ვალიკოს ცხოვრებასთან დაკავშირებული. აგერ, ეს ალისფერ ყდაში ჩასმული, ფორზაცზე ოქროს ასოები რომ არის ამოტვიფრული და მედიდური შეხედულებით გამოირჩევა, არავისთვის საჭირო ფილოსოფიითაა გატენილი. სისხლი ჩაანთხია ვალიკომ მის აწყობაში. ცხენს რომ ურიგოდ გაწყობილი საპალნე აწვალებს, ისე გააჯახირა ასოთამწყობი. ავტორი მოდაში იყო იმ ხანად და იმდენს აქებდნენ, ვალიკოს ვინ დაუჯერებდა, თორემ ღირდა კი იმდენ წვალებად ის წიგნი? იმ მწერლის მფარველ ანგელოზს ფეხი რომ გადაუბრუნდა, წიგნი და ავტორი აღარავის გახსენებია შემდეგ — არც მტერს, არც მოყვარეს.

— ეჰ, რა ვიცით, კაცო, რა? — ამოიოხრა ვალიკომ.

გასინჯა კარადის კარი, წებო არ გამშრალიყო და ისევ წიგნებს დაუბრუნდა. მათში ერთი მომცრო, სადად გაფორმებული შეარჩია. კაცმა რომ თქვას, არც შეურჩევია, წიგნი ოდნავ გამოჩოჩებული იყო და თვალშიც იმიტომ მოხვდა. გამოიღო, გადაფურცლა, ვერასგზით ვერ გაიხსენა, როდის ააწყო. არა, წიგნს გამოშვების თარიღი კი ეწერა, მაგრამ აწყობასთან დაკავშირებული რაიმე დეტალის გახსენება გაუჭირდა. „ბატონ ვალერიანს მის მიერ გაწეული დიდი შრომისათვის, მადლობის ნიშნად“, წაიკითხა, მაგრამ ავტოგრაფმაც რომ ვერაფერი ხელმოსაკიდი მისცა ავტორისა და წიგნის აწყობის დროის გასახსენებლად, თავის ადგილზე დადო.

წებო კვლავ არ გამშრალიყო. „სამზარეულოში რატომ გაშრა ისე უცბად?“ — ფიქრობს ვალიკო და წიგნებს შესცქერის. სულ ზედა თარო უკვე გადათვალიერებული აქვს. რამდენი უმუშავნია, კაცო! ვა-

ლიკო მარჯვენა ხელის სამ თითს დაჰყურებს, თითქოს ამოწმებს. დასცქერის და უკვირს, რომ ამ სამ ჩვეულებრივ თითს იმდენი ნიშანი აუწყვია და თვალწინ გაუელვეს აწყობილმა, ჯანფით მჭიდროდ შეკრულმა გვერდებმა. რამდენჯერ უნდა დაიბარო თითოეულ გვერდთან აწყობის შემდეგ: ეს რედაქტორის ჩასწორებაო, ეს ავტორის კაპრიზიო, ესეც კორექტურა...

აი ეს პატარა წიგნი, თეთრფორზაციანი, უბრალო ქაღალდის ყდით (ვალიკომ სათუთად გადმოიღო წიგნი), ყდაზე ხეები და შორს, ტყის ფონზე მიმავალი მატარებელი ეხატა; ეს წიგნი ნაცნობია ვალიკოსათვის, ნაცნობი კი არა... — ეჰ?.. — ოხრავს ვალიკო და წიგნს ბოლოდან შლის, „რედაქტორი, მხატვარი, მხატვრული რედაქტორი, ტექნიკური რედაქტორი, კორექტორი, გამომშვები“... „რა იქნება, კაცო, ასოთამწყობიც რომ მიაწერონ ზოგიერთ წიგნს, აი ასეთს მაინც — ასოთამწყობს რომ უყვარს და ეამაყება კიდეც?“...

— ეგ არის და გორის ციხე! — ამოიოხრა ვალიკომ, — დამთავრდა, შოთიკო უბედურო, შენი მოლვაწეობა, ფიქრები, ოცნება, ჭიდილი, ვნება და გვემა.

კვლავ შიშით მიმოიხედა, ამოდენა მონოლოგი, მართლაც, არ გამოეპარებოდა მეუღლის ყურთასმენას, მაგრამ სარეცხი მანქანის გუგუნში, როგორც ჩანს, ვერ გაიგონა ქალმა მისი ლაპარაკი.

დღევანდელ დღესავით ახსოვს ვალიკოს შოთას სტამბაში მოსვლა. რაღაც სასწრაფო წიგნს აწყობდა იმ დღეს. შემოვიდა საამქროს უფროსი ვიღაც გამხდარი, საშუალოზე ცოტა მაღალი ბიჭის თანხლებით. ბიჭს შუბლზე გრძლად ჩამოზრდილი, ხშირი წაბლისფერი თმა და ასეთივე ფერის წარბები ჰქონდა. ხავერდის გაქექილი აგურისფერი კურტაკი და მუხლებზე გადამსკდარი გაურკვეველი ფერის შარვალი ეცვა. დიდრონი წყლიანი თვალები ჰქონდა, ოდნავ წინ წამოწეული კეხიანი ცხვირი რაღაცნაირ განსხვავებულსა და გამოკვეთილს ხდიდა მის სახეს.

— აგერ, ვალერიან, შენ იცი და შენმა კაცობამ! — მიმართა საამქროს უფროსმა და ისე სწრაფად გაბრუნდა, თითქოს ეშინოდა, უკან არ დადევნებოდა ბიჭი.

— გინდა ხელობის სწავლა? — ჰკითხა ვალიკომ.

ბიჭი იდგა და მის ხელებს მისჩერებოდა. ვალიკო ხომ გუშინდელი ასოთამწყობი არ იყო, საუბარი და მუშაობა ერთდროულად რომ არ შეძლებოდა.

— ჰა, კაცო? — ისევ ჰკითხა ვალიკომ.

— ვნახოთ. — მოკლედ თქვა ბიჭმა და შეირხა.

ბიჭს როყიო ხმა ჰქონდა, დაუხვეწელი, ჭაბუკურად ამაყი და მთრთოლვარე. ეს შენიშნა ვალიკომ. და იმასაც მიხვდა, რომ ბიჭი თავისი ნებისა და სურვილის გარეშე იყო მოყვანილი.

— თუ საქმე არ შეიყვარე, ვერ ისწავლი! — უთხრა ვალიკომ.

ბიჭმა ალმაცერად გადმოხედა და არცთუ ფარული ირონიით იკითხა:

— ვერ ვისწავლი თუ არ ვისწავლი?

— ჰოო, — ვალიკომ ცნობისმოყვარეობით შეათვალიერა ბიჭი, ნაუცბათევად და ცალყბად, რადგან საქმით იყო გართული და ბიჭი რიგიანად ვერ შეაფასა. ამას შემდეგ მიხვდა, ძალიან დიდი ხნის შემდეგ, მაშინ კი მისი საქციელით ოდნავ გაკვირვებულმა ჰარიჰარად აუხსნა რაღაც, კერძოდ ის, თუ როგორ დაეხსომებინა ასოთა სალაროს განლაგება. ბიჭი უნიათოდ იდგა და თითქოს არც კი უსმენდა.

შესვენებისას ვალიკო ცოტა არ იყოს ამრეზილი შევიდა საამქროს უფროსთან.

— კარგი, ვალიკო, ცოტა მოითმინე, თუ ჩემი ხათრი გაქვს! ბიჭი, მართალია, უცნაურია, მაგრამ შენისთანა დინჯ კაცთან, ვფიქრობ, კალაპოტში ჩადგება.

— რა უცნაური, კაცო, სულ სადღაც იხედება, მგონი, შტერია, — თქვა ვალიკომ.

— ამაში ვერ დაგეთანხმები, ასეთი ჭკვიანი და გულკეთილი ბიჭი მთელ ჩვენს უბანში არ დადის. დედა ჰყავს ავად, მამის პენსიით ცხოვრობენ, წარმოიდგინე...

— კარგი, — თქვა ვალიკომ და შოთას უცნაურობის გამო ამის შემდეგ საამქროს უფროსთან კრინტი არ დაუძრავს. შოთა კი, მიუხედავად იმისა, რომ ექვს თვეში თვალდახუჭული აწყობდა ურთულეს ტექსტებს და ათი-თხუთმეტი წლის გამოცდილების მქონე ასოთამწყობებს ჯობნიდა, ერთთავად უცნაურად იქცეოდა. ზოგჯერ ერთი ან ორი საათით გვიან მოვიდოდა სამუშაოზე, ხან სულაც არ გამოცხადდებოდა და იმის ნაცვლად, რომ ხელჩასაჭიდი რაიმე ეთქვა მიზეზად, ოდნავ გაღიმებული იტყოდა: ამ დილით აქეთ რომ მოვდიოდი, ხიდქვეშ იმას ვუცქირე, ფოთლები როგორ მიჰქონდა წყალსო. ან კიდევ: რომ გენახათ, რა ამბავი ჰქონდათ დილას ბელურებს ბაღის კუთხეში სასადილოსთან, ერთი ბეწო პურის ქერქისათვის ომი გაემართათ, ნამდვილი ომიო.

ამას რომ გაამხელდა და ირგვლივ მყოფთა სახეზე თანაგრძნობის მაგიერ გაკვირვებასა და შეფარულ დაცინვას ამოიკითხავდა, ანაზდად შეკრთებოდა და უსიტყვოდ, ყოველგვარი წინააღმდეგობის გამომხატველი მოძრაობის ან ჟესტის გარეშე იწყებდა მუშაობას.

რადგან მისი უფროსი ითმენდა, ითმენდა საამქროც. ითმენდა ვალიკო, თუმცა მოსათმენი რა იყო. მთელ კვირას რომ არ მოსულიყო, შოთა, საქმეს მაინც დროულად და ხარისხოვნად შესრულებულს აბარებდა.

უკვირდათ, ვალიკოსაც უკვირდა. არ უკვირდა მხოლოდ საამქროს უფროსს.

და ერთხელ მაინც გატყდა ნავსი: შოთა ცნობილი მწერლის წიგნს აწყობდა. საერთოდ, მისივე თხოვნით, შოთას მეტწილად მხატვრულ ლიტერატურას აძლევდნენ ასაწყობად. თითქმის ყველა ავტორი მადლიერი ჰყავდა ფაქიზი და დაკვირვებული მუშაობით. ხანდახან მის მეტად მოსაზრებულ და საქმიან შენიშვნასაც კი ითვალისწინებდნენ, შემდეგ ყველას გასაგონად განაცხადებდნენ: აი ასეთი უნდა ასოთამწყობი, ოცდაათი კაცის წაკითხულ დედანში „ღლავი“ დაიჭიროსო. დიახ, ყოველმხრივ ასე კარგად რომ მიდიოდა საქმე, ერთი ახალგაზრდა და სახელმოხვეჭილი მწერლის წიგნი მისცეს. ვალიკომ რაღაცით იგრძნო, რომ შოთა უხალისოდ შეუდგა იმ წიგნის აწყობას. მესამე თუ მეოთხე დილას კი, ავტორი რომ მოვიდა და შოთამ ხმადაბლა რაღაც უთხრა, ავტორმა იფეთქა:

— უყურე ერთი, ჭკუის სწავლებას რომ მიწყებს, ხედავთ?!

— დამშვიდდით! — დინჯად მიმართა გაფითრებულმა შოთამ.

— უყურეთ თქვენ, მოარული უმეცრება!... დამშვიდდიო! — ისევ იყვირა ავტორმა.

— როგორ ბრძანეთ? — სულ გადაირია შოთა.

— ვითომ რაო რომ ვბრძანე?

ვალიკო უყურებდა, როგორ ნელა აიღო შოთამ დედანი, როგორ მიუყარა ფურცლები ავტორს.

— მიბრძანდით, ამხანაგო! — უცნაურად დაიჭექა შემდეგ და ნაბიჯი წინ გადადგა.

ავტორს გამეორება აღარ დასჭირვებია. იგი მთელი სისწრაფით გარბოდა გრძელ საამქროში.

შოთა დაზგას მიუბრუნდა და აწყობილი გვერდების ჩაშლას ისეთი სახით შეუდგა, ეტყობოდა ძალიან სიამოვნებდა ეს საქმე.

ატყდა დავიდარაბა, მაგრამ მთელი საამქრო ერთი კაცივით ამოუდგა შოთას.

იმ საღამოს პირველად შეზარხოშდა შოთა. ამხანაგებმა გამარჯვების აღსანიშნავად წაიყვანეს.

— ძნელია ადამიანობა? — ეს ორი სიტყვა წაიჩურჩულა შოთამ.

ვალიკომ სანუგეშო ვერაფერი უთხრა მაშინვე. თვით სიტყვა დიდი არაფერი, მაგრამ წარმოთქმული იყო იმგვარად, ვალიკოს ჟრუანტელმა დაუარა მთელს სხეულში და მოადუნა. შემდეგ რაღაც მიკიბ-მოკიბა ვალიკომ, ვითომ გაუფერმკრთალა სუდა, მაგრამ მაშინვე იგრძნო, რომ შოთა აღარ უსმენდა.

იმ ამბავიდან ორი თვის თავზე დედა გარდაეცვალა შოთას. მერე კაციშვილს არ დაუნახავს სამუშაოზე. რამდენჯერმე მიაკითხეს ბიჭებმა, ვალიკომაც ინახულა, მაგრამ შედეგს ვერ მიაღწია. არ დაბრუნდა შოთა საამქროში, არც სხვაგან დაუწყია მუშაობა და ერთ დღეს საამქროს უფროსმა მეტად უცნაური და დაუჯერებელი ამბავი მოიტანა, შოთა მომკვდარაო.

როგორ? — თითქმის ყველას აწუხებდა ეს კითხვა. ვალიკოს გაახსენდა, რომ სამი თვის წინ შოთამ თქვა, ჩვენ, ადამიანები, ცნობისმოყვარენი უფრო ვართ, ვინემ კეთილგონიერად განმკითხავებიო.

— მოტოკლუბში დადიოდა თურმე, — თქვა საამქროს უფროსმა, — დაიჯერებდა ვინმე შოთას დინჯი ხასიათის პატრონის მოტოსპორტით გატაცებას? არადა სამაგალითო შედეგები ჰქონდა თურმე და მწვრთნელებიც დიდ იმედებს ამყარებდნენ მასზე. ჰოდა, გუშინ საღამოთი საწვრთნელ ვარჯიშზე...

სათქმელი ბოლომდე აღარ თქვა საამქროს უფროსმა. იქნებ თქვა კიდეც. არავის აღარაფერი ესმოდა, საამქრო ერთბაშად გაიყინა.

...ერთი წლის შემდეგ საამქროს უფროსმა მანქანაზე სუფთად გადაბეჭდილი დედანი დაუდო წინ ვალიკოს, შოთას მოთხრობებია, ყველა ინსტანცია მოიარა და ახლა შენი ჯერიაო, უთხრა.

არავის გაკვირვებია, რომ ამ უცნაურ ბიჭს რაღაც აწუხებდა, მაგრამ გაიკვირვა ვალიკომ, უცნაურ ბიჭს სულ სხვაგვარი გზნებითა და წვით აწუხებდა თურმე ის რაღაც. თითქმის არ აცლიდნენ ვალიკოს ტექსტის აწყობას, სანამ ააწყობდა, ყველამ წაიკითხა და სათითაო გვერდებად და მოთხრობებად ააწყვეს, კოლექტიურად, რითაც ავტორისადმი საერთო სიყვარული გამოხატეს. ასევე ერთსულოვნად მოიქცნენ საბეჭდსა და საამკინძაო საამქროებშიც, მაგრამ ხმაური და ზარი მაშინ უნდა გენახათ, თითქმის ყველა კრიტიკოსმა ერთნაირად აღფრთოვანებული და გულშიჩამწვდომი რეცენზია რომ უძღვნა წიგნს.

გადაფურცლა და გადაფურცლა ვალიკომ წიგნი. იცოდა სუპერის წინ შოთას სურათი იყო და როგორღაც ეკრძალებოდა დაეხედა.

— რა სამოთხის გლახაკივით დამჯდარხარ, კაცო, იატაკზე? — შემოესმა ვალიკოს მეუღლის ხმა.

— ჰა?.. — ყრუდ გაეპასუხა ვალიკო და უცებ წამოდგა. წიგნი შრიალით დავარდა ძირს. გადაშლილი სუპერიდან მომღიმარი შოთა შესცქეროდა.

ცყეეფლის ჯე

მოთხრობა

ავთანდილ გალდავაძე

ხონში, თუ პირით აღმოსავლეთისაკენ დადგებოდით და მარცხნივ გაიხედავდით, პირველად ლეკის ვერცხლის ქამარივით ვიწრო მდინარეებით დაღარულ მოღაღანე ვაკეს დაინახავდით, ვაკის იქით — მწვანე კორტოხს, კორტოხის მიღმა — შავ მთაგანს, მთაგანის მერმე — ღია ლურჯ მთას, მთის შეყოლებით — ლაინისფერ მთაგრეხილს, ხოლო სულ ზევით, შიშველ თხემს მიტკლის ჩალმა მოებურა — თეთრი, ქათქათა, კრიალა თოვლი...

მზერა მეტს ვერ შეწვდებოდა, სანახები და თვალსაწიერი იქ მთავრდებოდა, მქრქალდებოდა და უსასრულო ბუნდოვანებაში გადადიოდა... მაგრამ მთავარი რაც იყო, სწორედ იმ ბუნდოვანების გადასაბრუნში იყო — ჯერ არნახული, სამკვდრო-სასიცოცხლო ომის მძვინვარებდა, ცეცხლის ალში გაეხვია ყველა და ყოველი.

და იყო ტრიალი ცოდვა-მადლისა.

და არ იყო ყურთასმენა, თვალთახედვა, დანდობა.

ფაშისტი დამპყრობლები, დუნდგო გუთების სინსილები, მთელი ძალით მოიწევდნენ აქეთ, მთების გადმოლმა.

ომი აგერ მერამდენე წელი გრძელდებოდა.

და ყურყუმი ღამე იყო თუ დღე იყო სხივმოსილი, არ ცხრებოდა ცეცხლი და ალი, გრუხუნი და გუგუნი, ხოცვა და ულეტა.

იმ მთების თეთრი თავსარქმლის მაღლიდან ხანდახან დასაზვერავად, დასაბომბად თუ დასაშინებლად შავი აჩრდილი გადმოსერავდა სივრცეს და ხონის ლაჟვარდ ცაში შემოიჭრებოდა.

შავი აჩრდილი შემოიჭრებოდა ხონის ლაჟვარდ ცაში და გაისუსებოდნენ გაწლიკული ბავშვები, გაირინდებოდნენ მხვნელ-მთესველ-მეთოხარი მზეზე გარუჯული დედაკაცები, პირჯვარს გადაიწერდნენ საბიჯელს დანდობილი, ბამბასავით გაპენტილი ხანდაზმულები, შაშხანებს ფეხზე შეაყენებდნენ გამანადგურებელი ბატალიონის მებრძოლი, სახეექარდაკრული ქალები...

და აი იმ დღესაც, კარგა მოდილაებულზე, მზე რომ თავის საუფლო ტახტზე არ ჩანდა და ზესკნელიდან ნაცარა ღრუბელი ჩამოსცქეროდა ცისქვეშეთს, კვლავ გადმოეკლო მთების კუნწუხს მრუმე ლანდი.

ლანდი დიდი ვირაჟების გრეხვასა და ნავარდის კვრას არ მოჰყოლია, ჰაერში ორიოდე წრე შემოხაზა და ჯანელებში, სანახევროდ აშენებულ და მერე თავმინებებულ, აეროდრომზე დაეშვა.

თვითმფრინავი აეროდრომზე დაფრენისას გვერდზე გადაიხარა, მიწას ფრთა წამოჰკრა, ღრმა ღრმული გათხარა და თუნის წყალსასდუნები, თაღარები, ჭურები, დოქები, ფიალები და ჯამები ამოყარა.

თვითმფრინავიდან აფორიაქებული მფრინავები გადმოცვივდნენ, თუნის ნაკეთობის ნამტვრევებს ფეხი ჰკრეს, ფრთას მოეჭიდნენ, მოსინჯეს და გული მოიფონეს — საფიქრალი და სავალალო არაფერი უჭირდა.. ახლა მოტორს მიეჭრნენ, გახსნეს, ხელსაწყოები, საპოხი და ძენძი მოიმარჯვეს, ხელები დაიმკლავეს.

ის-ის იყო მფრინავები მანქანაში ჩაიკრიფნენ, რომ ყიყინით, ყვირილითა და „ჩვენები, ჩვენების“ ძახილით გულამოვარდნილნი, ძალმიხდილი, შიშველ-ტიტველი ბალღები მოვარდნენ და ფრთოსან საოცრებას შემოეჯარნენ, ზოგი გვერდით დადგა, თვალები დააჭყიტა და პირი დააღო, ზოგი ზედ მიესხდა და ბაწია ხელებს უთათუნებდა, უცხო სანახაეს, ზოგი კიდევ, უფრო მორცხვი თუ მოშიშარი, შორიდან უმზერდა ლარზე გაჭიმულ ტრიალ მინდორს, თუნის წყალსასდუნების, ჯამ-ჭურჭლის ნამსხვრევებსა და ზღაპრულ ლეგა ფრინველს...

მოტორი აგუგუნდა, თვითმფრინავი ატოკდა, აეროდრომს მოსწყდა და „ჩვენებმა“ ტყვიამფრქვევის ჯერი დააყარეს ცნობისმოყვარე, ცუგრუმელა გოგონებსა და ბიჭებს.

თვითმფრინავს სვასტიკა ეხატა...

სვასტიკიან სვავს ბედად ბევრი არ უფრენია — გამანადგურებელი ბატალიონის მებრძოლთა ტყვია იწვნია... ჰაერშივე აბრიალდა, აბოლდა, აბოლქვდა, ერთი თალია ამოტრიალდა, თავით ჩამოეკიდა და აეროდრომიდან კარგა მოშორებით მიწას ცხვირით დაენარცხა.

მიწას ცხვირით დაენარცხა და გარშემო გადაწვა თავნაყარი სიმინდი, თავთავდასხმული ბურჩხა ყვითლად აყვავებული კვახი, ჩაბაზებული ლობიო...

გადაბუგა ხე, გაადნო რკინა, გაალღო ქვა.

...საღამოს საჯარო ადგილზე, ღია ცის ქვეშ, სახელდახელო კრება შედგა.

პირველად გამანადგურებელი ბატალიონის უფროსმა, იმავე რაიონის ლეკიანი ბანდიტ-ფაშისტ-ოკუპანტ-ბანდიტ-ფაშისტ-ოკუპანტ-ბანდიტ-ფაშისტ-ოკუპანტ-

ნის ხელმძღვანელმა, ილაპარაკა.

ერთი მეორეს ცვლიდა, მეორეს — მესამე, მესამეს — მეოთხე...

სახეები იყო მრისხანე, ხმა—მჭექარე, სიტყვა — მოკლე.

შიგადაშიგ ხმა გაიბზარებოდა, თვალში ცრემლი გამოჟონავდა, ზლუქუნი აზავთდებოდა.

კრება ამოიგმინავდა და აცახცახდებოდა.

მერე, დრო რომ გაიხანებდა, ყველაფერი გაირინდებოდა, კუნთები დაიჭიმებოდა, ცრემლი შეშრებოდა.

და რისხვა-წყრომა ისევ ისე ყალყზე შედგებოდა.

ბოლოს კვლავ რაიონის ხელმძღვანელის ხმა გაისმა:

— ასე რომ, აეროდრომს ვერც მოვშლით და ვერც გადავხნავთ, მისი შენარჩუნება აუცილებელია.

სიტყვა დაამთავრა და ცალხელა სამხედრო კომისარს მიმართა:

— როგორ მოვახერხოთ ეს?

— მოჭრილი ხეები უნდა დავაფინოთ, — უმალ უპასუხა, ეტყობოდა ადრევე უფიქრია ამის თაობაზე.

— ამდენი ხე სადაა, შე დალოცვილო? — გაიკვირვა ხალხმა.

ლაპარაკი იმაზე, რომ ტყე მოეჭრათ, ხე და ნეშო მოეზიდათ და ამოდენა აეროდრომი დაეფარათ, არც შემდგარა: ტყე თუ სადმე იყო, უსაშველოდ შორსა და მიუვალ ადგილებში იყო... იმ სიშორეზე არც წამსვლელ-მომსვლელი კაცი ჰყავდათ ვინმე და არც საამისო გამწევი ძალა გააჩნდათ...

— მართლაც, ეს ოხერი... — ჩაილაპარაკა ხელმძღვანელმა, ჩაფიქრდა და განაგრძო, — მოიცათ, მოიცათ, მოდი, ბულვარი ავჭრათ!

თვალგასახარი, ათასწლიანი, ათასი ჯიშის ძვირფასი ხეებით დაბურული ბაღი ედგათ ხონელებს.

არაო!

ჩვენი რაიონის სამკაულიაო!

არავითარ შემთხვევაშიო! — იხუვლა ხალხმა.

— მაშინ სასაფლაოებზე ავჩეხოთ ხეები! — ახლა სხვა შესთავაზა გამანადგურებელი ბატალიონის უფროსმა.

რას ამბობთო!

მამა-პაპას რა ვუთხრათო! — ქვა ააგდეს და თავი შეუშვირეს.

— მაშ რა ვქნათ, ხალხო?! — უსასოოდ გაშალა ხელები ხელმძღვანელმა.

ეზოებში ავჭრათ თითო-ოროლა ხე და მოვზიდოთო! — სიტყვა ისროლა ვიღაცამ ერთი კუთხიდან, მერე მეორე კუთხეში გაიმეორეს იგივე, მერე მესამეში აიტაცეს აზრი.

●

უმანკო ჩვილთა სისხლი დაიღვარა ჯანელებში...

ჯანელები...

აქ დიდი ხნის უკან, უხსოვარ დროში, სიცოცხლე დუღდა და გადმოდიოდა...

ჯანელები ეგრისის ერთ-ერთ სოფელს ერქვა. იქ აღნაგი, ტანშემდგარი, მკვრივად შეკრული კაცები და ტურფა, პირნატიფი, წარბებგადაკალმული ქალები ცხოვრობდნენ.

ქალები ბავშვებს ძუძუს აწოვებდნენ, მეწველ საქონელს წველიდნენ, ფრინველს ამრავლებდნენ, ბოსტანსა და ბაღჩას დაჰფოფინებდნენ, სელსა ქსოვდნენ, სანმისს რთავდნენ, ტალავარს კერავდნენ, თონეს ახურებდნენ და სადილ-ვახშამს უმზადებდნენ ჯალაბს.

კაცები ხარ-გუთანს გაირეკდნენ, დაპირულ სახნის-საკვეთს მიუდგებოდნენ, ხნავდნენ, თესდნენ, თოხნიდნენ, ღომი მოჰყავდათ, პურს მკიდნენ, ღვინოს აყენებდნენ, მეჯოგეობდნენ, მეთუნეობდნენ, მეფოლადეობდნენ, მჭედლობდნენ, ნალბანდობდნენ, ხუროობდნენ...

მათ ბარობაზე უზნეო, უმაქნისი და ხელუპყარი ანაგებად არ გაიჭაჭანებდა.

ხან თოხი ეჭირათ ხელში და ხან სატევარ-საძგერებელი იარაღი...

სამშობლო ჰქონდათ, მიწა-წყალი ებადათ, სახლ-კარი გააჩნდათ...

მზე გადაიხრებოდა, შემოჩვეული ზეფირი ჩამოიფარფატებდა გლეხკაცის არემარეზე და ღაღანს აუყენებდა ხასხასა პურის, ქერისა და ღომის ყანებსა და ბიბინს აუტეხდა ამწვანებულ მდელოს, ჭალებსა და კორდებს... ცუნცულით დაურბენდა დახუნძლულ, შავად მინაბდებულ კრიკინას, ვაზსა და უსურვაზს...

მზე ჰორიზონტზე გადაბრუნდებოდა და მიმწუხრი ჭიშკარ-ჭიშკარ ჩამოარიგებდა ხელებდაშაშრულ, ქალამნებამოსხეპილ, ღვედში წალდგარჭობილ, ფაფანაკჩამოფხატულ მამაკაცებსა და გასანსალებულ მუშა პირუტყვსა და მოცად საქონელს.

ირჯოდნენ, იღვწოდნენ, მრავლდებოდნენ, დაუყვედრებელ ლუკმას ჭამდნენ და მადლს სწირავდნენ ყოვლის შემოქმედს.

და იყვნენ ბედნიერნი — თავიანთ სახლებში იბადებოდნენ და თავიანთ მიწაზე იმარხებოდნენ...

ჯანელელებს ერიი მეთაური ჰყავდათ, სოფლის რჩეული, მაღალ-მაღალი, ხმელ-ხმელი, მხნე, მარჯვედ მოყვანილი ვაჟკაცი.

ცოლ-შვილი არ ჰყავდა, გულით ეწადა, მაგრამ არ ჰყავდა.

ამ ყოვლად უზადო კაცს ერთი ხინჯი სჭირდა: ბოხზე ბოხი, მოუზომელი, მგრგვინავი ხმა ჰქონდა, — ხარის ბუბუნი და ლომის ბრდღვინვა რა მოსატანი იყო მასთან...

— ოჯახისშვილო! — მოადგებოდა ჭიშკარს მაჭანკალი.

— ბატონო! — გამოსძახებდა სახლის შიგნიდან თუ ეზო-კარიდან მასპინძელი და მგრგვინავი ხმა ჯერ მთა-ბარს შესძრავდა, მერე ტყვიასავით მოხვდებოდა შუამავალს, შეარყევდა, შეატორტმანებდა, მეტყველების ნიჭს წაართმევდა და ყურის ბარაბნებს დაუხეთქავდა...

და სულს ძლივს მიიტანდა შინ გონმიხდილი, ენაჩავარდნილი, ყურებდახშული მოციქული...

და დარჩა სალთად და უშვილძიროდ ადამის მოდგმის შვილი...

... ერთხელ ზამთარმა ისაის იყო კაბის კალთა დაიბერტყა და წინდის ყელზე მოაბარდნა, რომ გადამთიელი, დუნდგო გუთები, ახლანდელი ფაშისტების შორეული წინაპრები, შემოესივნენ ეგრისის მადლიან მიწა-წყალს და მყისვე შეტრიალდა ჯანელელების ყოფა და ცხოვრება...

კაცებმა სახლი და სახლეული ქალებს მიუბარეს და აბჯრის ტანს დაავლეს ხელი: სელის კვართები ჩაიცვეს, ნაბდის ქუდზე მუზარადები დაიხურეს, თორნ-სამკერდულ-სამკლავე-საჩერნე-საბარკულ-საცერელში ჩასხდნენ, დაფხავებული ხმალი, სატევარი, დაშნა და ურსა აისხეს, ხარისტყავგადაკრული სუროს ფარები მოიმარჯვეს, ცხენებზე ამხედრდნენ, აჩუ შესძახეს, დეზი ჰკრეს, შეჰკივლეს, მათრახი სწყვიტეს, გაქანდნენ და მოსისხლეს ეძგერნენ.

წინ ხმალშემართული, მხნე, ხმამგრგვინავი მეთაური მიუძღვებოდათ.

ბრძოლა იყო დაუზოგველი, გააფთრებული, უსაშველოდ გრძელი.

და იყო სასტიკი, — აბა, შენდობითა და შეწყნარებით მტერი ვის მოუსრავს?!

ულევი, ურიცხვი, უთვალავი იყვნენ დუნდგო გუთები.

ათეული წელი გრძელდებოდა ომი.

ბოლოს საბოლოოდ გატეხეს მოძალადე.

და შეანანეს წადილი, უქციეს პირი და უკანმოუხედავად აოტეს მტერი.

აოტებულ მტერს ღვთის რისხვასავით მიაცილებდა ჯანელელების ბრდღვინვა და წყრომა.

განდევნეს გუთები.

და დარჩა გამარჯვების სიხარული და გაჩანაგებული ქვეყნის სინანული...

ეხ, განა იოლი ყოფა გვქონდა, განა მარტო ღვთის თვალი ტრიალებდა ჩვენს ადგილ-მამულზე. ყველა ლუკმა გარჯით გვქონდა მოწეული, ყველა ნამცეცა სიხარულსაც კი რუდუნებითა და ოფლისღვრით ვიპოვებდით... დაბლად დაცემული, თვალუწვდენელ სივრცეზე გადაჭიმული ეგრისი ზღვის ზედაპირიდან ერთი ციდით იყო ამაღლებული და სულ მუდამ წყლის შემოტევა, დატბორვა და დაჭაობება ემუქრებოდა... წყალი განსაკუთრებით გაზაფხულსა და შემოდგომაზე შემოუტევდა ხავერდოვან მინდვრებსა და ამწვანებულ წალკოტს... და ეგრისელ კაცს ნიადაგი დაქსელილი ჰქონდა დასაშრობი საშუალებებით და ნაგებობებით: ღია საწრეტი არხებით, ქვიშაწაყრილი, ნახევრად დახვრელილი თიხის სადინარებით, ხავსშემოვლებული, დაშორიშორებული თუნის სასდუნებით, ღვლეჭით გაკრული ბზის ფიცრის ღარებითა და ფიჩხი-კონის დრენებით.

ომის დროს გაჩანაგდა და დაირბა მიწა-ნიადაგის დასაშრობი ხერხები... ზოგს მზაკვარი მტრის უკულმართობამ დარია ხელი, — აბრეხეს ტყე, ბაღი და ვენახი, ზოგი უკაცობით გამოწვეულმა არაჯეროვანმა მოვლა-პატრონობამ, ზოგი ხანდაზმულობისა და გაუსახლებლობის გამოისობით მოიშალა და ხმელს შეერია. მოუტია წყალმა, ტბორმა და ჭაობმა...

დასკდა, დაიბზარა, დაიშაშრა ვაცხოვრებელი და მაცოცხლებელი მინა.

და გაუფერულდა გამარჯვების ზარი და ზეიმი.

და დასადგურდა ჭმუნვა, წუხვა და ვარამი.

ძალობდა, ჯიქურ მოიწევდა ჭაობი წინ და არემარე იფარებოდა დუბელა, მყაყე, აშმორებული წყლით, ჭანჭახით, ჭანჭრობით, ძეძვით, ხავსით, ისლით, ჭილით, ლიხით, ლელით, შამბით, ულტამით...

მოხშირდა ბუზის, კოღოს, კალიისა და მუმლის ურდოები...

უკან-უკან იხევდა მუხის, რცხილის, წიფლის ხვიარა ლიანით გადახლართული, ატეხილი ტევრები, ნიგვზის, თხილისა და წაბლის კოროზმები, ხეხილის ბაღები.

იყო ჟღმურტლი, ცრიდა ჟინჟღლი, წკაპწკაპებდა წვიმა, ასხამდა დელგმა.

იყო ჭექა-ქუხილი, იქცეოდა ცა, დიოდა ღვარები.

ხელიდან ეცლებოდათ საყანე, საენახე და საბოსტნე ადგილები.

იყო ბაყაყების ყიყინი, ვასაკების კრუალი, იხვების ყვიტყვიტი, ტყის ქათმების კრიახი, ღალღების ტიხტიხი და აყლაყუდა წეროების ბაბანაკი.

წინ-წინ მიიწევდა ჭაობი...

და იყო ხურვება, ხაშმი და ჟამი...

თავი არ დაიზოგეს ჯანელელებმა, დიდიან-პატარიანად აღსდგნენ და შეებნენ კარზე მომდგარ უბედურებას: ჭრიდნენ თხრილებს, თხრიდნენ არხებს, ცვლიდნენ ფიცრის ჩამპალ ღარებს, აკოწიწებდნენ თუნის სასდუნებს, თიხის სადინარებს, გმანავდნენ და გლესდნენ ბზარებს...

მაგრამ ამაო იყო ყველა ცდა და ყველა გარჯა...

ჭაობის ფერი დაედო დიდსა და პატარას...

დღე ერთი იყო და სიკვდილი — მრავალი...

თავი იტეხეს თავკაცებმა, სად არ გაიკითხეს, რა დარიგება არ მიიღეს, ვისი რჩევა არ ირჩიეს...

დამაიმედებელი არაფერი იყო...

აიყარეთო...

დედაბუდიანად გასახლდითო...

ამიერიდან ამ ადგილზე, მიწაზე და ფუძეზე ადამის მოდგმის ცხოვრება და ხარება არ იქნებაო...

მდინარე გატოპეთ, გაიბანეთ, ჟამი და ხაშმი წყალს გაატანეთ და გაღმა გაუტიეთო...

და თან არაფერი წარიტანოთ, გარდა ერთი ხელი საცმელ-სამოსისა, ერთი ტანი აბჯრისა და ერთი ზურგი ნუზლისაო...

ფუძე იცვალეთო...

ვაი დედაო! — დაიგმინეს კაცებმა.

ილების ნაფუძვარზე, მადლმოსილმა ხელებმა ჭაობი დააშრეს და კაპეტ მიწაზე მარადმწვანე ჩაის პლანტაციები და ათქვირებული სიმინდის ყანები ააბიბინეს.

რა ხანია... აგერ ერთ-ერთ ათას-შვიდასი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ჯანელელები გადასახლდნენ აქედან და არ დანელდა, არ დაცხრა, არ დანავლდა მათი სიყვარული, ზიდვა და ლტოლვა პირველფუძისადმი...

ახლა, მართალია, ჯანელებში არავინ მოსახლეობს, მაგრამ მის მიღმა-მოღმა, ახლომახლო სულ ახალ-ახალი სოფლები გაშენდა.

და დღესაც ჯანელები ჯანელელების წმიდათაწმიდა, საფიცარი და სალოცავი ადგილია... წელიწადში ერთხელ მაინც უნდა მოიაროს იგი ჯანელელმა, თვალი გაანავარდოს ბის გაშხვართულ ვაკობზე, შეეხოს მის გულუხვ, აფუებულ, ბარაქიან მიწას.

ალბათ მიწის, ფუძის, ადგილის დედის უკიდეგანო სიყვარულმა შეინახა და აურაცხელ ქარ-ცეცხლში გამოატარა ჩვენი ხალხი შვიდათასწლეულში ასე მკვრივად შეკრული, ასე გვერდიგვერდ მყოფი, ასე მხარდამხარ მდგომი...

— ჯანელური გეზიანი სიმინდი ხომ არ გაქვთ, ბატონო? — პარასკევობით შეშას გაჰყიდდა და კითხვა-კითხვით შემოივლიდა ხონის ყაფანს გამთიელებული, თავაზიანი ჯანელელი.

და თუ გამყიდველი დასტურს დასცემდა, სახე გაებადრებოდა, ფასს არ იკითხავდა, ფულს არ დაინანებდა, ჯვალოში ჩაუშვებდა მარცვალს და ჩოჩიალა ურმით აუყვებოდა კრიახ, ხრიოკ, მწირ მთიანს...

უზომო იყო მათი ლტოლვა პირველფუძისადმი.. ყველა შეღერებული ტურფა, პირნატიფი, წარბებგადაკალმული ქალიშვილი აქეთ, ვაკობში, ეპირებოდა გამოთხოვებას და ყველა ტანშემდგარი, მკვრივად შეკრული, ულვაშაკოკრებული ყმაწვილი კაცი აქაურ, ვაკელ ქალს ადგამდა თვალს...

რაღა შორს წავიდეთ. აგერ ა, იმ ტრიფოლიატის ლობის მიღმა, ოდა სახლის წინამოში საბიჯელდაბიჯებული რომ დალასლასებს შავებში ჩამჯდარი ბებია მაკრინე, ჯანელელების სახლიშვილია, ხანდაუთვლელი დედაბერი, ჩემს სოფელში, ჯანელების გვერდით მდებარე ივანდიდში, ბარე ათეული წლების წინათ გამოთხოვილი ქალი.

ერთი დრო იყო ბებია მაკრინეს ოჯახს ღვთივმომადლებული ყველაფერი გააჩნდა და აღვსილი იყო ყოველი საწყაული მისი: ულელი — ხარის ქედით, ბოგა — ძროხით, ქართახი — ღორით, ქანდარა — ქათმით, ალიონი — მამლის ყივილით, ნალია — სიმინდით, კოდი — ფქვილით, ხალამი — ყველით, ბუდე — კვერცხით, ჭური — ღვინით, აკვანი — ბავშვით, მკლავი — ძალით, მუხლი — ღონით, გული — სიყვარულის სახმილითა და სული — ნეტარებით...

ური დედაო! — შეიცხადეს ქალებმა.

ჭოჭმანის დრო არ იყო...

დაკოცნეს მიწა-ნიადაგი, მამა-პაპათა საფლავები, კერიის ქვა, სახლის კარები, ჭურ-მარნის კარაბა, ხეივანი, ეზოს ჭიშკარი...

თვალი აარიდეს აბღავლებულ საქონელსა და აქოთქოთებულ ფრინველს...

აყრილ-ამგზავრებულებმა ხმაამახიანი მეთაური წაიმძღვარეს წინ...

სინათლით იარეს, ბნელით იარეს, უამრავი იარეს და ერთ წყალუხვ მდინარეს მიადგნენ...

ვაი-ვაგლახით მდინარე განვლეს, გაღმა გავიდნენ, უკან მოიხედეს, შეჰყვირეს და თვალებზე ხელები აიფარეს...

ჯანელები ჭაობმა ყლუპ-ყლუპით და თქრიალით ჩანთქა და დუბელა სითხემ მოიცვა ყველაფერი...

ერთი ფეხით გაასწრეს სიკვდილს...

მეთაური სერზე შედგა, ფეხის წვერებზე წამოიწია, წამოჭარხლდა და ძახილით მთა და ბარი შეაჯერა.

— ეჰეჰეეი, თქვენ კრული გუთების დუნდგოს ოტებულო ნარჩენებო, თუ კიდევ, ღმერთმა ნუ ჰქნას, მომრავლდა და აღზავდა თქვენი ჯიში და ოდესმე ისევ ისე წაგძლიათ წაგლეჯის წადილმა და ჩვენს ბარობაზე ფეხის დადგმა მოიგუნებეთ, იცოდეთ, იცოდეთ, ცოდვით ვუბარებთ ჩვენს შვილებს, შვილიშვილებსა და შვილიშვილის შვილებს, რომ მაშინ შინ ამბის წამღები არ შეგარჩინონ, მიწასთან გაგასწორონ, გაგაცამტვერონ...

მიდიოდნენ, მიდიოდნენ, მიდიოდნენ, ხან აღმართს აეკიდებოდნენ, ხან დაღმართს დაუყვებოდნენ, ხან ძილი ეკიდებოდათ და ხან ფეხს აუჩქარებდნენ, ხან ფეხათრევით მიზოზინობდნენ, ხან ცხრათვალა მზე უნთებდათ პაპანაქებას და ხან ორთავ თვალით დასტიროდათ ცა, ხან კუჭი ეწვოდათ შიმშილისაგან.

— არ დავცვივდეთ, ჩემებურებო, არ დავცვივდეთ! — ეხმიანებოდა ხმაბოხი მეთაური და ხან ვის წაეშველებოდა და ხან — ვის...

მიდიოდნენ, მიდიოდნენ, მიდიოდნენ, ბარგი ზურგით მიჰქონდათ, სული — კბილით.

ბოლოს გზა მოლიეს, ნატარ-ნამგზავრებმა ოფლი მოიწმინდეს, ბარგი მოიხადეს, ირგვლივ თვალი მოატარეს, მიდგნენ-მოდგნენ და ერთ კრიახ, ხრიოკ მთიანს შეეკედლნენ და საბინადროს საძირკველი გაჭრეს...

ახალ ფუძეზე, კბილით საჩიჩქნ მიწაზე, დამკვიდრდნენ ჯანელელები...

●

ეს ამბავი თაობიდან თაობაში გადადიოდა, როგორც დარდიანი ლეგენდა, როგორც სანანური ზღაპარი, როგორც ვარამით მოვარაყებული მითი...

და იმ ომახიანი მეთაურის ხმა ახლაც ესმით თურმე ჯანელელებს. ახლაც აურჟოლებთ და აღანთებთ მათ... ხმა განსაკუთრებით მკაფიოდ მაშინ გაისმისო, ირწმუნებიან, როცა შუაღამე ჩამოდგება, გაისუსება ყოველი და დუმილი დაიბუდებს ყველგან... და სულ მუდამ, ჯანელელების ოჯახში ჩვილი იშვება თუ არა და პირველი ჭყავილით გულს შეიჯერებს, მშობელი დედა შვილს აიტაცებს, გარეთ გაიყვანს და მეთაურის ხმას გააგონებს.

— ეჰეჰეი, კრული გუთების დუნდგოს ოტებულო ნარჩენებო, თუ ოდესმე ისევ ისე წაგძლიათ წაგლეჯის წადილმა და ჩვენს ბარობაზე ფეხის დადგმა მოიგუნებეთ, იცოდეთ...

— ისმინე, შვილო, ისმინე, გულით ატარე სიძულვილი მტრისა და სანუკვარ მამა-პაპათა ფუძის სიყვარული, — დაუბედებს დედა შვილს.

და ახლა ჩვილის ჭყავილი დაარბევდა დუმილს...

...რა ხანია ჯანელებში, ჯანელე-

ახლა სადღა იყო ბებია მაკრინეს ჯანი და ჯავარი, სიახალგაზრდე, მადლიანი ქალური ქალობა... პირველმა მსოფლიომ — მისი ჭარმაგი ქმარი შეიწირა, ფინეთის ომმა — პირმშო წარიღო ზვარაკად, ხალხინგოლმა — შუათანა შვილს დარია ხელი, ახლანდელმა სამამულომ — უგზო-უკვლოდ გადაუკარგა მრწემი...

ბებია მაკრინეს სიცოცხლის რკალი ნელინელ მცირდებოდა, ვიწროვდებოდა და აგერ-აგერ ხელსაც ღააწვდენდა, გალეულ, დამჭკნარ ხელს...

დარჩა მარტოსული...

დარჩა მარტომყოფი...

და მის მარტოსულობასა და მარტოყოფას ერთი გაძვალტყავებული, ფერდებჩაქცეული, უნიათო გოშია სდარაჯობდა ახლა.

ბებია მაკრინეს ფინია არც ვისმეს დასატევად უნდოდა და არც ვისმეს დასაგლეჯად... სხვა ხმის გამცემი არ ჰყავდა, თავის შემყოლიებელი და მემუსაიფე...

ბებერ და ბეხრეკ გოშიას ოთხი ფეხი ჰქონდა და თავს მაინც ვერ იმაგრებდა, ხან სად მიანარცხებდა კუკს და ხან სად...

ბერიქალი თუ რამეს შეავლებდა ხელს, ორ ნაწილად გაათავთავებდა, ერთ ნაწილს თავად შეექცეოდა, ხოლო მეორეს ძაღლს მიუმარჯვებდა.

●

კრებიდან დაშლილი მოსახლეები მეორე დღეს საქმეს შეუდგნენ.

ჩვენს კაცს ყოველთვის ჰქონდა გასამართავი სახლი თუ სამზადი, სასიმინდე თუ საბძელი, ბოსელი თუ ქართახი, კარი თუ ჭიშკარი, ღობე თუ ალაგე, კარადა თუ ზანდუკი, ტახტი თუ მაგიდა და სკამლოგინი, ზოგი რა და ზოგი რა... და თითო-ოროლა ხეს ყველა ახარებდა, ვინ სადედაბოძედ, ვინ სადირედ, ვინ სავაცედ, ვინ საკოჭედ, ვინ საკავედ, ვინ საჩარჩოედ, ვინ საქალაიედ, ვინ სათაღედ, ვინ საბაზოედ, ვინ საგულედ, ვინ საალათედ, ვინ საფიცრედ, ვინ სალამფედ... და თვალგასახარად და გულსაამოდ შრიალებდნენ ეზო-ეზო, ღობეს ჩარიგებული ალვა, აკაცია, ნიგოზი, ბჟოლა, წაბლი, კოპიტი, ცაცხვი...

და აუყენეს ჩახაჩუხი შვილივით ნალოლიავებ ხეებს...

და ზღართანით ეცემოდნენ ტანჯავარიანი და ვარჯგაშლილი ხეები.

ჩეხვის ხმა მოეყურა ბებია მაკრინეს, ირგვლივ მოავლო სხივნაკლული თვალები და მის ეზო-კარში მდგარ ერთადერთ ხეს მიაჩერდა.

ნაყოფით დახუნძლული ტყემლის ხე სიმწიფეში შესულიყო, სინგურისფერი შეჰპარვოდა მარცვლებს სამხრეთ-აღმოსავლეთით...

შეკრთა ბებია მაკრინე...

ტყემლით ისველებდნენ პირს...

ტყემლით საზრდოობდნენ...

ტყემალს იჩრდილავდნენ...

ტყემლით გაჰქონდათ თავი...

მოგონებები მოეჭარბა ბებია მაკრინეს.

და პირველად არ ესიამოვნა მის წინ ჩაცუცქული და თვალებში მიშტერებული ძაღლის დანახვა.

— მაცალე ახლა, შე არდასაცლელო, ერცახე, ყურები ნუ წაიღე შენი გაუთავებელი ბუუტურით! — შეუტია და დატუქსა თანამოსაუბრე.

მისი ეზო ოდესღაც დაბურული იყო შტამბაშოლტილი და ტანდაბალი, მსხმოიარე თუ აგნისანი ხეებით...

მერე, როცა ოჯახს კაცის ხელი დაეკლდა და თავადაც მეტისმეტად ჩამობერდა, ბებია მაკრინეს შეშის შემომტანი აღარავინ დარჩა და თანდათან აიჩეხა ხეები და შუაცეცხლს მუგუზლებად შეეწირნენ...

ახლა ძირკვებიღა იყო გაბნეული ეზოში, გამომპალი და გამოფიტული ნარჩენები ხასხასა ხეებისა...

— ბებია მაკრინე! — თავზე წამოადგა მეზობლის დედაკაცი...

მეზობლის დედაკაცი არც თავად იყო ახალშეღერებული ახალგაზრდა, ათეული წლები ამძიმებდა მის მხრებს, მაკრინეს მისგან „ბიცოლას“ დაძახება უფრო ერგებოდა, ვიდრე ბებიისა, მაგრამ „ბებია“ დედაბერს რა ხანია სახელივით შეერქვა და სხვანაირად მისი მოხსენიება თუ მისდამი მიმართვა არავის მოუვიდოდა აზრად.

— ბებია მაკრინე, დიდი, ულრმესი მადლობა შემოგითვალეს... — უთხრა და ქაღალდი გადასცა.

დედაბერმა ქაღალდი ჩამოართვა, დახედა და უბეში შეინახა.

— სამადლობელი რა არის, დია...

ბებია მაკრინემ წინა დღით ზანდუკში შვილების საქორწილოდ გულდაგულ გადანახული ნამზითვი ოქროს ბეჭედი, იაგუნდის გულქანდა, თვალიანი საყურეები და ქმრის ვერცხლის ქილები და ქამარ-ხანჯალი ამოალაგა, მტვერი გააცალა, შეახვია და მეზობლის ქალს გადასცა, — შენს გახარებას, წაიღე და მთავრობას ჩააბარე, ეგებ რამეში წაადგეს ჩვენს ქვეყანასო...

— თავდაცვის ფონდში შევიტანთო, შემოგითვალეს.

— როგორც ჯობდეს, დია, როგორც ჯობდეს, მაგენმა უფრო იციან, სად რა გააკეთონ... ახლა თუ ჩემი ხათრი გაქვს, ეს გამაგებინე, რამ გადარია ეს ხალხი, რომ მიმდგარან და ეზოებში ხეებს ჩეხენ?

მეზობლის დედაკაცმა საქმის გარემოება აუხსნა და დააყოლა:

— მაგრამ შენ არ გეხება ეს, ბებია მაკრინე, შენ ისედაც იმდენი ქონება შესწირე ქვეყანას, მომხედავი და ხელისწამომკვრელიც აღარავინ დაგრჩა, თან ერთადერთი ხე გიდგას ეზოში.

სათქმელი დაამთავრა მოსულმა, აღარ დააყოვნა, მოიბოდიშა და თავისი გზით გასწია—ხე ჰქონდა მოსაჭრელი, სადაც იყო დაბინდებოდა და დაგვიანება არ ეგებოდა.

ერთი ხანობა გაუნძრევლად იდგა დედაბერი.

ბინდი მოებურა არემარეს.

გააჟრჟოლა ბებია მაკრინეს, სამზადში შევიდა, მზერა იმ მუხურაკენ გააპარა, სადაც ნაჯახი ეგულებოდა, ჭრაქი აანთო, ჯორკოზე ჩამოჯდა და გოშიას მიაჩერდა.

— ასე, ჩემო გოშია, თქვენ არ გეხებათო, ვითომ ჩვენ ამ ქვეყნის შვილები არ ვიყოთ...

ძაღლის ალიონზე კუთუნ-კუთუნით წამოდგა ბებია მაკრინე, ჯორკოს წამოავლო ხელი, ამოიიღლიავა ნაჯახი, ხანხალით წამოოთხდა გოშია, კარი გამოაღეს, ეზოში გავიდნენ და ღამეს გაჰხედეს.

ტყემალს მიეახლნენ...

ჯორკო მიადგეს, ნაჯახი მიაყუდეს.

ნიავი შებუდრებულიყო ტყემლის ტოტებში და ოდნავ-ოდნავ არხევდა მათ.

ფოთლები აღარ ჩანდა ნაყოფის სიხშირეში...

ერთ მარცვალს დასწვდა ბებია მაკრინე, ჩამოწყვიტა, პირში ჩაიდო, უკბილო ყბა გაუსვა, რბილობი ვერ დააშორა კურკას, ენით ხან აქეთ მოიგდო, ხან — იქით, ვერაფერს გახდა და უკან გადმოაგდო.

კიდევ ერთი, დიდი-დიდი, ორი კვირა და შეითვალებოდა, სიმწიფეში შევიდოდა და შაქარყინულივით დატკბებოდა ტყემალი...

დედაბერმა ჯვარი გადახატა ხეს, ხელი დაინერწყვა, ჯორკოზე მოკალათდა და ნაჯახი მოიქნია...

მარჩენალ ტყემლის ხეს ნაფოტი სცვიოდა, დედაბერი კრუსუნებდა, ჯორკო ჭრაჭაჭრუჭობდა, ტრიფოლიატაში თრია სტვენდა, ძაღლი ყეფდა, კუნძს ამოფარებული თრითინა თრთოდა...

მთვარე მკრთალდებოდა...

მთაგრეხილის იქით ომი გრუხუნებდა...

ძვირფასი სტუმარი

პოეტი ალექსანდრე მეჟიროვი

საქართველოში შემოქმედებითი მივლინებით იმყოფება გამოჩენილი საბჭოთა პოეტი, თანამედროვე ქართული პოეზიის ბრწყინვალე მთარგმნელი, ჩვენი ხალხის გულითადი მეგობარი — ალექსანდრე მეჟიროვი.

პოეტი ესტუმრა ცხაკაიასა და გალის რაიონებს, ქალაქ ზუგდიდს, დიდი ინტერესით დაათვალიერა ნოქალაქევის ისტორიული ადგილები, ენგურჰესი, ზუგდიდის მუზეუმი, გალის ზღვა, აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობა, შეხვდა სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანებს, ესაუბრა პარტიის ცხაკაიასა და გალის რაიკომების პირველ მდივნებს — ვახტანგ ესვანჯიას და ოთარ ზუხბაიას. ძვირფასმა სტუმარმა აღტაცება გამოთქვა იმ დიდი შრომითი აღმავლობის გამო, რაც ამჟამად იგრძნობა მთელ რესპუბლიკაში.

28 ივნისს რუსთაველის სახელობის თეატრის მცირე დარბაზში ალექსანდრე მეჟიროვს ლიტერატურულ საზოგადოებასთან ერთად შეხვდნენ მკითხველები, მისი დიდი ნიჭის თაყვანისმცემლები. პოეტმა ჩვეული ოსტატობით წაიკითხა თავისი ძველი და ახალი ლექსები, მათ შორის საქართველოსადმი მიძღვნილი პოეტური ნაწარმოებები.

დამსწრეებმა მქუხარე ტაშით დააჯილდოვეს თანამედროვე რუსული საბჭოთა ლიტერატურის შესანიშნავი წარმომადგენელი.

წიგნი და მკითხველი

ნათელი შემოქმედებითი სამყარო

მინდია მოსაშვილის მოთხრობების კრებული ახლახან გამოიცა (გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1980 წელი, რედაქტორი ნ. იაშვილი).

24 მოთხრობისაგან შემდგარ ამ კრებულს წინ უძღვის რევაზ ორჯონიკიძის მეტად საყურადღებო ნარკვევი („მინდია მოსაშვილის მოთხრობები“), რომელიც საფუძვლიანად მიმოიხილავს მწერლის თვითმყოფად შემოქმედებას.

მინდია მოსაშვილმა მოთხრობების პირველი წიგნი 1966 წელს გამოაქვეყნა და, თუმცა უპრეტენზიოდ, მაგრამ გაბედულად შეუდგა აღმართს... დიახ, აღმართს... მან თავისი მოთხრობების მეორე წიგნს უწოდა „აღმართი“, რომელსაც მალე მოჰყვა ჯერ „ორთაბრძოლა“, მერე „ნადირობა პრერიებში“ და ბოლოს ვრცელი მოთხრობა „წარსული ზაფხული“, ცალკე წიგნად რომ გამოიცა და არ შესულა ზემოხსენებულ, მწერლის დაბადების 50-ე წლისთავზე გამოცემულ კრებულში.

ამ ვრცელი საიუბილეო კრებულის მიღმა კიდევ ბევრი ნაღვაწია — ისევ მოთხრობები, სპორტული ნარკვევები და ვრცელი მონოგრაფია „ილო მოსაშვილის ცხოვრების ქრონიკა“, რომელიც უტყუარ მეგზურად გამოადგებათ ლიტერატურის მომავალ მკვლევარებს.

მინდია მოსაშვილი უაღრესად ნათლად, თავისებურად აღიქვამს უბრალო ადამიანების ყოფიერებას და თვითონაც თავის მიერ შექმნილ მხატვრულ ნაწარმოებებში მათთან ერთად განაგრძობს ცხოვრებას. ამ რკალის მოთხრობებია: „ჩვენი ქუჩა“, „ახლა ძვირად თუ გამოჩნდება ავტობუსი“, „თეთრი მთები“ „მე, ოცნება და მეტყეევე სტეფანე“, „სიკვდილი ამას ჰქვია“...

რასაც ან ვისაც უნდა ეხებოდეს მინდია მოსაშვილი, მის შემოქმედებაში, უპირველეს ყოვლისა, მთავარი და წამყვანია ის, რომ მხატვრული სიტყვის ძალით მას შევყავართ რეალური ცხოვრების ესთეტიკურ სამყაროში, საიდანაც თვალსაჩინოდ და კოლორიტულად მოჩანს ჩვენი ყოველდღიურობის როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური მოვლენები („ღმერთო, გამახსენე“, „მარელისის სკამი“, „საყველაო სადღეგრძელო“, „ლურჯი საღამო“).

მწერალი გვიხატავს გადაგვარებული ადამიანის ტიპს, ადამიანისა, რომლის გატაცებაა მანქანების გამოცვლა და უცხოური კონიაკების საკუთარი კოლექციის გამდიდრება („ჰობი მინდიაშვილ რობერტასი“). რამ მიიყვანა ტრაგიკულ დასასრულამდე რობერტ მინდიაშვილი? მკითხველი გრძნობს, რომ აქ გადამწყვეტი პირობაა არაშრომითი შემოსავალი, მომხვეჭელობა, რომლის უკან დგას უკონტროლობა, თუმცა ამ საკითხზე ავტორს კრინტიც არ დაუძრავს.

მინდია მოსაშვილის პროზისათვის დამახასიათებელია ღრმა სოციოლოგიური თვალთახედვა და სოციალური აზროვნების მრავალმხრივობა. ერთი სიტყვით, თავისი შემოქმედებით იგი მუდამ დგას ლიტერატურის პარტიულობის მყარ ლენინურ პოზიციებზე. მწერალი მკაცრ მოთხოვნებს უყენებს ზოგადად ადამიანს და განსაკუთრებით, კი საბჭოთა მოქალაქეს, მისგან ყოველგვარ ვითარებაში მოითხოვს გონიერებას, თვითკონტროლს, მოყვასისადმი პატივისცემასა და თავდადებას, ჯანსაღ და დამოუკიდებელ აზროვნებას, ყოველგვარი უხამსობისაგან განწმენდას... მოითხოვს, თანაც მკაცრად. მერე თითქოს გამოსცდის ცალკეულ ადამიანებს და გულისტკივილით კიცხავს ყველას, ვინც განსაცდელის ჟამს ქარს გაატანა მეგობრობის და სიყვარულის რწმენა, ვინც „...მხოლოდ საკუთარი კუჭის გვრემას აულაპარაკებია, რადგან მხოლოდ საკუთარი სახლის ჭუჭრუტანიდან უცქერის და ზომავს ქვეყანას“ („ნადირობა პრერიებში“, „გზა ტყეზე მიემართება“, „სოსოს თანასოფლელი თამრიკო“, „ფიქრი, რომელიც აწუხებს ვანოს“, „გზაში“).

ცალკე სერიის სახით („ცხრა მთას იქით“) არის წარმოდგენილი და დიდი ინტერესით იკითხება ოთხი მოთხრობა, რომლებიც კაპიტალისტური საზღვარგარეთის სინამდვილეს გადმოგვცემენ („გემბანზე“, „საბედისწერო რკალი“, „ჟპერკოტი“, „პატრიოტი“).

მინდია მოსაშვილის ძარღვიანი ქართული სიტყვა ხშირად პოეტური პროზის შთაბეჭდილებას იწვევს, გიზიდავს და გატყვევებს, ჭეშმარიტ სიამოვნებას განიჭებს.

კალმის ოსტატური მოსმით შექმნილი მხატვრული სურათები თუ სახეები, ბუნებრივი დიალოგები, უკვე ნათქვამის მეშვეობით უთქმელის თვალსაჩინო გამომზეურების იშვიათი უნარი, სალიტერატურო ენისადმი უდიდესი მოკრძალება, ქართული კლასიკური მწერლობის ტრადიციების თავისებური ხედვა, თვითმყოფადი მხატვრული სამყარო გვარწმუნებს, რომ მინდია მოსაშვილი შემოქმედებითი სიმწიფის ხანაშია და მისგან კვლავაც დიდ წარმატებებს უნდა მოველოდეთ.

ოთარ ბერიშვილი

ზღვა და რკინის ბაობაბები

ილია რურუა

ოსლოს ყურეში ჩვენი ყურადღება მიიპყრო უცნაურმა ნაგებობამ, რომელიც ჯერ ნავმისადგომად მივიღეთ, შემდეგ კი მცურავ დოკად. უკან რომ ვბრუნდებოდით, ასეთ ნაგებობას ჩრდილოეთის ზღვაშიც წავაწყდით. მას ხუთი საზღვაო ბუქსირი ეწეოდა მრავალი საპორტო გემის ექსკორტით. პირველად მაშინ გავიგე, რომ ეს ყოფილა ზღვის ფსკერიდან ნავთობის ამოსაღებად შექმნილი პლატფორმა.

ადვილი სათქმელია „პლატფორმა“, მაგრამ ახლა მის გიგანტურ მოცულობებს გავეცნოთ. ამდენი ბუქსირი და დამხმარე გემი პლატფორმის გარშემო, თურმე, იმიტომ ფუსფუსებდა, რომ ასი მეტრი დიამეტრისა ყოფილა, წყალში კი მთელი 75 მეტრის სიღრმეზე ჩამჯდარი. მისი შემადგენელი ცხრამეტი რკინა-ბეტონის ცილინდრიდან თვითეული 20 მეტრი დიამეტრისა და 50 მეტრი სიმაღლისა გახლავთ. მათ ვერტიკალურად უშვებენ ხოლმე ფსკერზე და ნავთით ავსებენ. ას მეტრამდე სიგრძის სამი ცილინდრული საყრდენი წყლის ზედაპირს აღწევს. სწორედ მას ეყრდნობა 16 ათასტონიანი ფოლადის პლატფორმა, რომელზედაც დამონტაჟებულია საბურღავი დანადგარი, საცხოვრებელი და დამხმარე შენობები, ელექტროსადგური და ვერტმფრენის მოედანიც კი. ერთი სიტყვით, მთელი პატარა ქალაქი.

თითქოს ყველა საფუძველი გვაქვს კიდევ ერთხელ მოვიხაროთ ქედი ადამიანის გენიის წინაშე, რომ...

უფრო მოგვიანებით, ორი წლის შემდეგ, მთელი მსოფლიო შეძრა შემაშფოთებელმა ცნობამ ჩრდილოეთის ზღვაში მომხდარი კატასტროფის შესახებ. სწორედ ზემოაღწერილი ერთ-ერთი ასეთი პლატფორმის ფსკერიდან ექსპლოატაციის დაწყების მომენტში, რაღაც უწესივრობისა თუ შეცდომის გამო, ზღვაში ჩაიღვარა ნავთობის მდინარე. წყლის ზედაპირი თვალუწვდენელ სივრცეზე დაიფარა სიცოცხლის მომშთობი გიგანტური ლაქით. ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო აფეთქება, რის შემდეგ შადრევნის დამორჩილებაზე ფიქრიც კი აზრს დაკარგავდა. საბედნიეროდ, კატასტროფის თავიდან აცილება მაინც მოხერხდა, მაგრამ ამით კაცობრიობის შეშფოთება დიდად არ განელებულა.

მაინც რა მოელის ოკეანეს — სიცოცხლის აკვანს, ადამიანთა საზოგადოების არსებობის ამ ერთ-ერთ ძირითად რეზერვუარს?!

ეს კითხვა ახალი არ გახლავთ. ნავთობით წყლის გაჭუჭყიანების პრობლემა კარგა ხანია აწუხებს კაცობრიობას. ნავთობი, რომელსაც პლანეტის სისხლს ეძახიან და რისგანაც ესოდენ დავალებულია ცივილიზაციის მიღწევები, სიცოცხლის საშიში მტერი გახლავთ, უფრო საშიში, ვიდრე ბუნების რომელიც გნებავთ მრისხანე მოვლენა. წყლის ზედაპირზე ნელ-ნელა დაშლილ-გაძრული, იგი „მიჟონავს“ სიღრმეებისაკენაც და დაუნდობლად სპობს სიცოცხლეს.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის დამლევს მიუქცევიათ ყურადღება ფლორისა და ფაუნის სიღარიბისათვის იმ რაიონებში, სადაც ზღვის ფსკერზე მოქცეული პლასტებიდან ნავთობი ბუნებრივი ფილტრაციით ამოდიოდა. საქმე უფრო გართულდა, როცა დაიწყო მაზუთით წყლის ზემოდან გაჭუჭყიანების პროცესი. ხმელთაშუა ზღვის ბუხტებში ბევრგან დაიღუპა ხამანწკების ხელოვნური პლანტაციები. მიზეზის ახსნაში ჯერ კიდევ შეჰქონდათ ეჭვი, მაგრამ მალე მეცნიერული კვლევაძიებითაც დადასტურდა, რომ ნეაპოლის ყურეში მანამდე დასახლებული 500 სახის ზღვის ორგანიზმიდან სულ ცოტა ასი მაინც გადაშენდა. ცოცხალი თითქმის აღარაფერი დარჩენილა ტოკიოს ყურეში.

ახლა მივმართოთ უფრო გლობალურ სტატისტიკას. ოფიციალური მონაცემებით, მსოფლიო ოკეანის სივრცეებში ყოველწლიურად იღვრება 6 მილიონ ტონაზე მეტი ნავთობი. აქედან მესამედზე მეტი გემების მიზეზით. მარტო 1974 წელს რეგისტრირებული იყო ტანკერების 1168 ავარია. ამერიკელ მეცნიერთა გამოანგარიშებით, ტანკერები ოკეანეს „აწვდიან“ 3 ათას ტონამდე ნავთს ყოველ საათში და ცენტნერზე მეტს ყოველ ნამში. თუ ასე გაგრძელდა, ასკვნიან მეცნიერები, 30 წლის შემდეგ შესაძლებელია ზღვებსა და ოკეანეებში საერთოდ შეწყდეს ყოველგვარი სიცოცხლე. ამ შეშფოთებას ყველაზე მტკივნეულად ჯერჯერობით მეთევზეები იზიარებენ.

ქ. ბარნაულის სახ. საქ. სხვ. ბიბლიოთეკა

ახლა კი ცოტა რამ ნავთობის დამღუპველი ზემოქმედების პროცესის მექანიზმზე.

ნავთობის ზეთოვანი აპკი აფერხებს წყლისა და ატმოსფეროს ბუნებრივ ურთიერთზემოქმედ ებ ას. შედეგად იზრდება სივრცეში მზის ენერგიის არეკვლა და მცირდება წყლის აორთქლება და ჟანგბადით მისი გაჯერება. ეს კი, თავის მხრივ, აფერხებს ზღვის ფაუნის ძირითადი საშენი მასალის პლაკტონის განვითარებას. ამის პირდაპირი მიზეზი გახლავთ თევზის ასობით სახის გადაშენება, ზოგისაც საგრძნობი შემცირება. უწვრილესთვალებიან ბადეებს, რომელთაც სამეცნიერო გემები ოკეანის ცენტრალურ რაიონებში უშვებენ ხოლმე, პლაკტონის ნაცვლად, თურმე, სულ უფრო ხშირად ამოაქვთ მაზუთის კოლტები.

აკვალანგისტებს, რომლებიც იაპონიის ერთ-ერთ სანაპიროზე ნავთსაცავის ავარიიდან ექვსი თვის შემდეგ ჩასულან ზღვის ფსკერზე, იგი სანაპიროდან 6 მეტრის შემდეგ ერთიანად ნავთის კოლტებით დაფარული უნახავთ, ხოლო ყველაფერი ცოცხალი, მათ შორის გამძლეობით ცნობილი კიბორჩხალები — განადგურებული.

საბედნიეროდ, ზღვის წყალს გააჩნია თვითწმენდის უნარი, მაგრამ ოკეანის გაჭუჭყიანების ტემპებმა დიდი ხანია გაუსწრო ნავთობის ბუნებრივად დაშლის სისწრაფეს. საქმეს ისიც ართულებს, რომ წყალში, თუ მისი ტემპერატურა 10 გრადუსს არ აღემატება, ბაქტერიოლოგიური ჟანგვა ნელა მიმდინარეობს. ამის გამო, ცივ წყლებში ჩაღვრილი ნავთობი შესაძლებელია მთელი ნახევარი საუკუნე არ დაიშალოს.

ასე თუ ისე, ფაქტია, რომ სწრაფმავალი გემები დღეს ზოგჯერ საათობით მიცურავენ ნავთობის ლაქებით მოპრიალე ზღვასა და ოკეანეში. ტურ ჰეიერდალი წერს, რომ თავისი ცნობილი ექსპედიციების დროს მთელი დღის მანძილზე ვედრო წყლის ამოღებასაც ვერ ვახერხებდით ნავთობის ლაქის გარეშეო.

გავიხსენოთ ის „წვლილიც“, რაც ზღვებისა და ოკეანეების გაჭუჭყიანების ავბედით საქმეში შეაქვთ თვით ნავთობგადამამუშავებელ ქარხნებსა და ნავთობბაზებს, სხვადასხვა სახის სამრეწველო საწარმოებს, ქიმიური და ატომური წარმოების ნარჩენებს. ცნობილია, რომ ატლანტის ოკეანეს, მაგალითად, 1967 წლიდან იყენებენ „ატომური ნარჩენების სასაფლაოდ“. მარტო ერთი წლის მანძილზე ირლანდიის ნაპირებიდან 700 კილომეტრზე გემებს ჩაუძირავთ 4.500 ტონა რადიაქტიური ნარჩენებით სავსე კონტეინერები.

ზოგჯერ საქმე კურიოზებამდეც მიდის. ესპანეთის ნავსადგურ ალიკანტეს მახლობლად რამდენიმე წლის წინათ მეჩეჩზე დამჯდარა ღვინომზიდი „დონე ხოზე“. გემის გადარჩენის მიზნით, ეკიპაჟი იძულებული გამხდარა 40 ათასი ლიტრი ნითელი ღვინო ზღვაში ჩაეშვა. წყალი თურმე დიდ სივრცეზე სისხლისფრად შეიღება. მეთევზეები კი ორი დღის მანძილზე იჭერდნენ „ნასვამ“ თევზებს.

კაცობრიობა ინტენსიურად ეძებს საშუალებებს, რაც თავიდან აგვაცილებს ზღვის სამყაროს გადაქცევას უსიცოცხლო უდაბნოდ. უკვე შექმნილია სპეციალური გამწმენდი გემები, ფორებიანი მასალა, რომელიც სწრაფად იჟღინთება გადაღვრილი ნავთობით და შემდეგ იწვება. ამერიკელმა მეცნიერებმა გამოიყენეს ბაქტერია „სუპერმიკრობი“, რომელიც უსაშველოდ სწრაფად მრავლდება და ასევე სწრაფად შლის ნავთობის შემადგენელ ნახშირწყლებს. არის სხვა საშუალებებიც, მაგრამ ყველაფერი ეს ჯერჯერობით ექსპერიმენტებს არ გასცილებია. მათ ეფექტურობაზე გლობალური მასშტაბით ლაპარაკი ჯერ ნაადრევი ჩანს. მაგალითად, ერთ გემგამწმენდს შეუძლია დღე-ღამეში შეაგროვოს 150 ტონა გადაღვრილი ნავთობი, მაგრამ მთელი იმ ნავთობის შთანთქმისათვის, რაც იმავე ერთი დღე-ღამის მანძილზე წყლის ზედაპირს ეფინება, საჭირო იქნება 1500 ასეთი გემი.

თუ მსგავსი გემების შექმნა მომავლის საქმედ გვესახება, სულ უფრო სწრაფად იზრდება „ზღვის მამონტების“ — ტანკერების ფლოტი. 1869 წელს, როცა აფრიანი გემი „ჩარლზი“ პირველად გადააკეთეს (ნავთობის გადასატანად) და მის კორპუსში ჩადგეს ფოლადის ოთხკუთხა ცისტერნები — ტანკები (აქედან სახელწოდება!), ვერავინ იფიქრებდა, თუ ამ სახეობის გემები საერთოდ ასე გაბატონდებოდნენ ზღვებსა და ოკეანეებზე. ნავთობის მოპოვების ზრდასთან ერთად იზრდება სატანკერო ფლოტიც, როგორც რაოდენობრივად, ისე მოცულობით. მოპოვებული ნავთობის ნახევარზე მეტი ხომ ზღვით გადაქვთ.

სულ რაღაც ოცდაათიოდე წლის წინათ გემთმშენებლობის მიღწევად ითვლებოდა 150 მეტრი სიგრძისა და 17 ათასი ტონა დედვეიტის ტანკერი. 15 წლის შემდეგ ეს ორი ციფრი შესაბამისად გაიზარდა 290 მეტრამდე და 150 ათას ტონამდე. ასეთი მოცულობის გახლავთ, მაგალითად, საბჭოთა ტანკერი „ყირიმი“. „ნავთობის ტბისათვის“, რომელიც მას გადააქვს, საჭირო იქნებოდა 100-მდე სარკინიგზო შემადგენლობა.

სამოცდაათიან წლებში ყველა რეკორდი იაპონელებმა მოხსნეს. მათ მიერ აგებული ზღვის მამონტის „გლობიკ ტოკიოს“ გაბარიტებია: 360 მეტრი სიგრძე, 62 მეტრი სიგანე, 36 მეტრი ბორტის სიმაღლე, 550 ათასი ტონა წყალწყვა-დედვეიტი. მისი სიდიდე უფრო თვალსაჩინო იქნება, თუ წარმოვიდგენთ 360 მეტრ სიგრძეზე გადაჭიმულ 10 სართულიან სახლს. თუ გემბანზე ვილაპარაკებთ, მასზე ერთდროულად შეიძლება გაიმართოს ფეხბურთის ექვსი მატჩი, ექვსივე მოედნის სტანდარტის დაურღვევლად.

ტანკერები, რომ იტყვიან თეორიულად, ფაქტიურად ჩაუძირავნი არიან. მათ გააჩნიათ კარგი მდგრადობის ერთიანი, მაგრამ მრავალი ტიხარით დაყოფილი კორპუსი ლუკების გარეშე. მაგრამ ამ ღირსებას აქვს თავისი „აქილევსის ქუსლი“. საკმარისია, კორპუსში იყოს სულ მცირე, თვალისათვის შეუმჩნეველი ბზარი, რომ შტორმის დროს იგი კატასტროფული სისწრაფით გაიზარდოს და ტანკერი შუაზე გადაიხსნას. არანაკლებ დიდია აფეთქების საფრთხე. სულ მცირე ნაპერწკალი ნავთობის წიაღში ან ჰაერისა და ნავთის ანაორთქლ ნარევში და შეიძლება ხანძარმა იფეთქოს. ამიტომ კონსტრუქტორები დღემდე თავს იმტვრევენ გამოსავლის ძებნაში.

იაპონელი ინჟინრები, მაგალითად, მუშაობენ ისეთი სუპერტანკერის პროექტზე, რომლის დედვეიტი უკვე მილიონ ტონას მიაღწევს, სიგრძე — ნახევარ კილომეტრს, სიგანე 85 მეტრს, ბორტის სიმაღლე 44, ხოლო წყალში ჯდომის სიღრმე 88 მეტრს. ეს ტანკერი შედგენილი იქნება ორი, ერთმანეთთან შარნირით შეერთებული გემისაგან.

ამერიკელი კონსტრუქტორ ებ ი უპირატესობას აძლევენ გიგანტურ ტივს, რომლის შემადგენლობაში შევა სამი ბარჟა, თითოეული 550 ათასი ტონა ტვირთამწეობის და გამწევი ზემძლავრი ბუქსირი. ასეთი ტივი 9 კილომეტრამდე გაიჭიმება.

ყველაზე საინტერესო პროექტად ექსპერტებს ესახებათ ხუთი დამოუკიდებელი ნაწილისაგან შემდგარი ტანკერი. მათგან ოთხი, ნავთობის გადასაზიდად განკუთვნილი, იქნება ოთხკუთხა უზარმაზარი ბარჟა, მილიონი ტონა ტევადობისა თითოეული. მეხუთე ნაწილი, რომელზედაც დამაგრდება ცხვირისა და კიჩოს შემაერთებელი ხერხემალი, უზრუნველყოფს ამ საოცარი ტანკერის მოძრაობას კიჩოს ნაწილში მოთავსებული ზემძლავრი ტურბინების დახმარებით. ნავთობის ჩასხმა-გადმოსხმის დროს ინჟინრული აზრის ეს საოცარება იშლება და ისე მიჰყავთ ნავმისადგომთან. ოკეანეში გასვლის წინ სუპერტანკერს ისევ ააწყობენ.

ცხადია, ასეთი თითქოსდა ფანტასტიკური, მაგრამ სავსებით რეალური პროექტების განხორციელება კიდევ მეტ საფრთხეს შეუქმნის ოკეანეს, თუ მისი დაცვის ღონისძიებებიც ასეთივე მასშტაბით არ განხორციელდა.

ავთანდილ ჯაუსელი,
საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს უფროსი.

ოთარ ჯეგავიანი,
საბჭოთა კავშირის ფეხბურთის ნაკრები გუნდების მწვრთნელი საქართველოში.

ქართული ფეხბურთი ყოველთვის სარგებლობდა დიდი და დამსახურებული ავტორიტეტით ჩვენს ქვეყანაში.

ეს სახელი და დიდება თავისით არ მოსულა. მის მოპოვებას ბევრი ძალა და ენერგია დაახარჯეს თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა თაობებმა. თუმცა ქართულ ფეხბურთს არა მარტო „დინამო“ უქმნიდა ავტორიტეტსა და დიდებას, სხვადასხვა დროს გვყავდა ისეთი გამოჩენილი კოლექტივები, როგორიც იყო „ლოკომოტივი“, „სპარტაკი“ და ოფიცერთა სახლის გუნდი. მაგრამ „დინამო“ მაინც იყო, არის და იქნება ჩვენი რესპუბლიკის პირველი გუნდი!

ბორის პაიჭაძემ და გაიოზ ჯეჯელავამ, გიორგი ანთაძემ და გრიგოლ გაგუამ, ავთანდილ ღოღობერიძემ და შოთა იამანიძემ, მიხეილ მესხმა და სლავა მეტრეველმა სახელოვნად დაიცვეს ქართული ფეხბურთის დიდება და ასევე სასახელოდ გადასცეს ესტაფეტა მანუჩარ მაჩაიძეს და დავით ყიფიანს, შოთა ხინჩაგაშვილს და ალექსანდრე ჩივაძეს, ვლადიმერ გუცაევს და რამაზ შენგელიას, ყველა მათ, ვინც უკანასკნელ წლებში არნახული წარმატებით იცავს ჩვენი პირველი გუნდის სახელს, ახალ-ახალი გამარჯვებებით ამდიდრებს ქართული ფეხბურთის ისტორიას.

ფეხბურთის მოყვარულებმა კარგად იციან, რომ მიუხედავად დიდი ავტორიტეტისა, თბილისის „დინამო“ 1976 წლამდე მხოლოდ ერთხელ იყო ქვეყნის ჩემპიონი და ერთხელაც არ ჰქონია მოპოვებული საბჭოთა კავშირის თასი.

ბოლო ოთხი წლის მანძილზე დინამოელები ორჯერ ბრინჯაოს და თითოჯერ ვერცხლისა და ოქროს მედლებს დაეუფლნენ, ორჯერ მოიპოვეს საბჭოთა კავშირის თასი და გახდნენ საბჭოთა კავშირის ხალხთა VII საზაფხულო სპარტაკიადის ვერცხლის პრიზიორები. ჭეშმარიტად საკმაოზე მეტია ყოველივე ეს დროის ამ პატარა მონაკვეთისათვის — ოთხი საფეხბურთო სეზონისათვის! მაგრამ განა ვინმეს აქვს უფლება, რომ დინამოელთა წარმატებები ისე წარმოგვიდგინოს, თითქოს ეს იყო სრულიად განცალკევებული, დამოუკიდებელი სფერო და ამ კოლექტივს არაფერი საერთო არა ჰქონდეს მის მასაზრდოებელ ქართულ ფეხბურთთან? — რა თქმა უნდა, არა! განა დინამოელთა უფროსი მწვრთნელი ნოდარ ახალკაცი ან მისი თანამოსაქმეები კახი ასათია-

ქართული ფეხბურთის ავ-კარგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით ყიფიანი, იტალიელი ფეხბურთელი მაცოლა, მანუჩარ მაჩაიძე

ნი, სერგო კუტივაძე და გივი ნოდია ქართულმა ფეხბურთმა არ აღზარდა?

ასევე ქართულმა ფეხბურთმა მისცა მის პირველ გუნდს ის შესანიშნავი ფეხბურთელები, რომლებმაც ლამაზი სტრიქონებით გაამდიდრეს გუნდის ისედაც მდიდარი მატიანე.

მას შემდეგ, რაც საქართველოში შემოვიდა და დაინერგა სპორტის ეს ლამაზი და ვაჟკაცური სახეობა, მან იმთავითვე დაიმკვიდრა საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა. დღეს ფეხბურთს თამაშობენ თითქმის ყველგან, სადაც რელიეფი ოდნავ მაინც იძლევა ამის საშუალებას. მარტო ის ფაქტი, რომ ჩვენი რესპუბლიკა საკავშირო სარბიელზე წარდგენილია ოსტატთა 10 კოლექტივით და ყველა მათგანი დაკომპლექტებულია ძირითადად ქართულ ფეხბურთში აღზრდილი მოთამაშეებით, განა დადებითად არ ლაპარაკობს ჩვენი რესპუბლიკის ჭაბუკთა და მასობრივ ფეხბურთზე?

ქართული ფეხბურთისათვის ყოველთვის იყო და იქნება განუყოფელი თბილისის „დინამოც“ და „ტყავის ბურთის“ პრიზზე მონაწილე ქუჩის თუ ეზოს გუნდები. „დინამოს“ წარმატება ყოველთვის იქნება ქართული ფეხბურთის წარმატება, ხოლო წარუმატებლობა — მისი სატკივარი!

რესპუბლიკის პირველობა ფეხბურთში ერთ-ერთი ყველაზე უფრო მასობრივი შეჯიბრებაა. პირველ ჯგუფში მონაწილეობს 22, ხოლო მეორე ჯგუფის ორ ქვეჯგუფში 20-20 კოლექტივი. საქართველოს ქალაქებისა და რაიონების გუნდები, რომლებიც არ არიან დაშვებული პირველ და მეორე ჯგუფებში, მონაწილეობენ ე. წ. ზონალურ შეჯიბრებაში; აქ გამარჯვებულთათვის ტარდება ფინალური ტურნირი, სადაც მონაწილეობს 20-მდე კოლექტივი. სულ რესპუბლიკის პირველობაზე მოზრდილთა 80-ზე მეტი კოლექტივი მონაწილეობს. გარდა ამისა, ტარდება რესპუბლიკური პირველობები ჭაბუკთა გუნდებისათვის, როგორც სპორტკომიტეტის, ასევე განათლების სამინისტროსა და სხვადასხვა სპორტსაზოგადოებების რესპუბლიკური საბჭოების ხაზით. ყველა ამ შეჯიბრებაში 250-ზე მეტი ბავშვთა და ჭაბუკთა გუნდი მონაწილეობს, ხოლო შეჯიბრებებში მონაწილეთა საერთო რიცხვი (ბავშვები, ჭაბუკები, ახალგაზრდები და მოზრდილები) 7 ათასზე მეტია. აღარაფერს ვამბობთ იმ შეჯიბრებებზე, რომლებიც ტარდება კოლექტივებში, რაიონებსა და ქალაქებში. აი ჩვენი მასობრივი ფეხბურთი, სხვანაირად რომ ვთქვათ, ეს არის ის მასაზრდოებელი წყარო, საიდანაც იღებენ შევსებას თბილისის „დინამო“, ქუთაისის „ტორპედო“, ლანჩხუთის „გურია“, სამტრედიის „ლოკომოტივი“, გორის „დილა“, ფოთის „კოლხეთი“, რუსთავის „მეტალურგი“, ბათუმის, სოხუმისა და ზუგდიდის „დინამოს“ კოლექტივები.

ქართული ფეხბურთი საბჭოთა ფეხბურთის განუყოფელი ნაწილია. იგი ყოველთვის ისახავდა მიზნად ღირსეული ცვლა მოემზადებინა არა მარტო თავისი ოსტატ ფეხბურთელთა გუნდებისათვის, არამედ ქვეყნის სხვადასხვა ნაკრები კოლექტივებისათვისაც. ამჟამად ამ გუნდებში ოცზე მეტი ქართველი ფეხბურთელია.

ჩვენ არ უარვყოფთ, რომ რესპუბლიკის პირველობის მატჩების ჩატარებისას ხდება სხვადასხვა დარღვევები, არასპორტული გამოხდომები, ინციდენტები — მოთამაშეების, მწვრთნელების და ზოგჯერ მსაჯების მხრივაც, რომ ჯერ კიდევ შორსა ვართ სრული წესრიგის დამყარებისაგან, რომ ამ არაჯანსაღ მდგომარეობას არა თუ ებრძვიან ადგილობრივი სპორტული ორგანიზაციები, არამედ ხშირად ხელსაც კი უწყობენ მის გაღვივებას, რითაც დათვურ სამსახურს უწევენ ფეხბურთის განვითარების საქმეს. მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ თითქოს ჩვენ გულხელდაკრეფილნი ვართ და სრულიად არ გვაღელვებს ჩვენს ფეხბურთში ჯერ კიდევ არსებული მანკიერი მოვლენები.

ფეხბურთის სამმართველო, ფედერაცია და მისი სპორტულ-ტექნიკური კომისია მთელი სიმკაცრით ებრძვიან ყოველივე მახინჯ, სპორტისათვის უცხო მოვლენას, რაც ხელს უშლის ფეხბურთის ნორმალურ განვითარებას. გამოვდივართ პრესაში, სპორტულ ტელეგადაცემებში, ვამხელთ დამნაშავე პირებსა და ორგანიზაციებს, რათა აღმოვფხვრათ და ამოვძირკვოთ ყველაფერი, რაც მავნეა ჩვენი ფეხბურთისათვის. მაგრამ განა მარტო უარყოფითი მხარეები აქვს ჩვენს ფეხბურთს? დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოში ფეხბურთის განვითარების საქმეში მიუხედავად არსებული ნაკლოვანებებისა, დადებითი უფრო მეტია, ვიდრე უარყოფითი!

შეუძლებელია იმის თქმა, რომ თითქოს ჩვენი ჭაბუკები უკანასკნელ წლებში საკავშირო პირველობებში აღარ არიან პირველთა შორის! მარტო უკანასკნელ სამ წელიწადში ჩვენს ჭაბუკებს მრავალი გამარჯვება აქვთ მოპოვებული საკავშირო სარბიელზე. მოგვყავს მხოლოდ რამდენიმე მაგალითი:

1977 წელი: „დინამო“ თბილისი (1960-61 წწ.) — I ადგილი, ოლიმპიური რეზერვების სკოლების საკავშირო პირველობა; „სიხარული“ თბილისი (1964-65 წწ.) — I ადგილი, „ტყავის ბურთის“ პრიზის საკავშირო გათამაშება; „ვერა“ თბილისი (1966-67 წწ.) — II ადგილი, „ტყავის ბურთის“ პრიზის საკავშირო გათამაშება.

1978 წელი: საქართველოს ნაკრები (1963 წ.) — I ადგილი, „მოსავლის დღესასწაული“ საკავშირო ტურნირი; „დინამო“ თბილისი (1961-62 წწ.) — I ადგილი, „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს საკავშირო პირველობა; „შრომითი რეზერვები“ საქართველო (1961-62 წწ.) — I ადგილი, „შრომითი რეზერვების“ ცენტრალური საბჭოს საკავშირო პირველობა.

ამავე წელს ჭაბუკთა საკავშირო ჩემპიონატის ფინალში მონაწილეობდა ჩვენი ორი გუნდი. უნდა აღინიშნოს, რომ ამ შეჯიბრებაში მონაწილეობს ქვეყნის 30-ზე მეტი ჭაბუკთა კოლექტივი და თამაშდება მცირე მედლები. ფინალში თბილისის „დინამომ“ და „ავაზამ“ დაიკავეს შესაბამისად მეორე და მესამე ადგილები, განა ეს ცუდი შედეგია ქართული ფეხბურთისათვის?

1979 წელი: საქართველოს „სიჭაბუკის“ ნაკრებმა მოიპოვა საკავშირო ალკა თასი; პირველი ადგილები დაიკავეს ცენტრალური საბჭოს პირველობებზე „დინამომ“,

„სპარტაკმა“, „შრომითი რეზერვების“ ჭაბუკთა გუნდებმა; მეორე-მესამე ადგილებზე გამოვიდნენ ჩვენი გუნდები „ტყავის ბურთის“ პრიზისა და სხვა საკავშირო შეჯიბრებებში.

მართალია, ჩვენმა გუნდებმა ამ წლებში მეოთხე და მეხუთე ადგილებიც დაიკავეს, მაგრამ 40-ზე მეტ შეჯიბრებაში მეტისმეტი ხომ არ იქნება ჩვენი რესპუბლიკისათვის, რომ მარტო ჩვენი გუნდები იყვნენ გამარჯვებულები? ამას ჩვენ ობიექტურობა გვალაპარაკებს, თორემ სურვილი, რა თქმა უნდა, კარგია!

ნაკლოვანებები და ხელისშემშლელი პირობები საკმაოდ ბევრია ქართულ ფეხბურთში. ამას ყველაზე კარგად ჩვენ ვხედავთ და არც ვაპირებთ მის დამალვას. განა მოსათმენია ის, რომ გორის რაიონის „ქართლი“ შეხვედრებს ტრიალ მინდორში ატარებს და რაიონის ხელმძღვანელობა არ არის დაინტერესებული გუნდს შეუქმნას ელემენტარული პირობები? ან ის, რომ მრავალი წელია ჭიანურდება ცხინვალის სტადიონის კეთილმოწყობა? ვიდრე ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოები არ დაინტერესდებიან ფეხბურთის კეთილდღეობით და მათი ინტერესი შემოიფარგლება მხოლოდ საკუთარი გუნდის სატურნირო მდგომარეობაზე ზრუნვით, ძალზე გაგვიჭირდება სანიმუშო წესრიგის დამყარება. ადგილებზე თითქმის არავინ ზრუნავს კვალიფიციური მსაჯების მომზადებაზე, მაყურებლებთან აღმზრდელობითი მუშაობის ჩატარებაზე. ბევრ რაიონში უწესრიგობაა სტადიონებზე, რაც, რა თქმა უნდა, უარყოფითად მოქმედებს თვით სპორტულ ღონისძიებებზე, მის მნიშვნელობასა და შედეგებზე.

ფეხბურთის სამმართველო და ფედერაცია მოწოდებულია, ხელი შეუწყონ ფეხბურთის განვითარებას ჩვენს რესპუბლიკაში, გაზარდონ მისი მასობრიობა, ფეხბურთელთა ოსტატობის დონე, ებრძოლონ მავნე გამოხდომებს, მაგრამ წესრიგი კოლექტივებში და სტადიონებზე უნდა დაამყარონ ადგილობრივმა სპორტულმა ორგანიზაციებმა, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და ადმინისტრაციული ორგანოების აქტიური მხარდაჭერითა და დახმარებით.

ქართული ფეხბურთის განვითარებაზე ზრუნვა ყველას ევალება.



ნორჩი მხატვარი
სერგო ედიშერაშვილის
ფოტო.

„დროშის“ მეექვსე ნომერში
გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 3. ბარბიერი; 6. კუცი; 9. ბუცი; 10. სმიტი; 11. გორი; 12. რიქშა; 13. აფრა; 14. ნამი; 15. ყიფიანი; 17. შანსი; 21. სმაგა; 22. ლუისი; 23. ისარი; 25. ბიონიკა; 28. კოპა; 30. რალი; 31. მავრი; 32. პორო; 33. „ზარია“; 34. ტირე; 35. ვილი; 36. ლერმუზიე.

შვეულად: 1. მეკინგი; 2. დიბიასი; 4. ალექსანდრია; 5. ბისაუ; 6. კიგანი; 7. ცურუმი; 8. ბერიაშვილი; 16. ნახირი; 18. იაშინი; 19. ტარტაკოვერი; 20. თაყაიშვილი; 24. კონოლი; 25. ბაროტი; 26. ნოიზელი; 27. კაბრერა; 29. ამადუ.

გარეკანი მხატვარ თენგიზ სამსონაძისა

გადაეცა ასაწყობად 27/VI-80 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 10/VII-80 წ., ქაღალდის ზომა 70×108 1/8, ფიზიკური ფურცელი 2,5, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 3,5, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,2, ტირაჟი 56.650, შეკვ. 1857, უე 01562. ფასი 30 კაპ.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» (на грузинском языке). Издательство ЦК КП Грузии

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის 14
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი
380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.
ტელ. — მთავარი რედაქტორის—99-54-66, პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებათა გამგეების — 93-28-42, 99-01-39, რედაქციის სამდივნოსი — 99-54-66.

რედაქციაში შემოსული მასალა **ავტორს** არ უბრუნდება.

КОНТРОЛЬНЫЕ ЭКЗЕМПЛЯРЫ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარტო ფეხით კი არა, თავითაც უნდა ივარჯიშო!

ვარჯიშის წინ.

ეზოს ნორჩ ფეხბურთელთა გუნდი

ნორჩი ფეხბურთელები ვარჯიშზე მიიჩქარიან.

სერგო ედიშერაშვილის ფოტო.

მწვრთნელის დარიგება.

— რომელ კუთხეში დამირტყამს?

ეროვნული
ბიბლიოთეკა
ინვენტარი 76056